კვალიფიციური ოპონირება

A3

პრესომბუდსმენი

A5

გულახდილად

B1

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 21 თებერვალი, 2006 წელი. №36 (1188)

ფასი 50 თეთრი

ამბები

"სინათლის ქალაქი" ნაბავს მიაქვს

"სინათლის ქალაქი" ნელ-ნელა ნაგავში იძირება. ამას არაერთხელ აკრძალული გარევაჭრობაც დაერთო, აღარც ერთ დროს კარგად გაპიარებული მეეზოვის ინსტიტუტი მუშაობს და ქუჩაში ფეხით მოსიარულეს გზის გაკაფვა ნაგავში უწევს.

A2

სვეტი

პრეზიდენტის მთავარი შეცდომა

"მე სააკაშვილის დიდი მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ დღეს არ მომწონს, როგორ ლაპარაკობს პრეზიდენტი. მაგალითად, როდესაც ამბობს, რომ მტრების ჯინაზე რაღაცას აკეთებს, ვერ ვხვდები, მე ვარ მისი მტერი? კრიტიკა მტრობას ნიშნავს?" - ეს კითხვა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ ეთერში რადიომსმენელმა დამისვა.

A3

ვინ დგას გიგა ბედინეიშვილის უკან - ვის აძლევს ხელს „ფეროში" საწარმოო პროცესის შეფერხება?

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	21/02
თბილისი	9
ბათუმი	10
გორი	6
ქუთაისი	10
ზუგდიდი	8
სამტრედია	9

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8201
ევრო	2.1620
ბირვანქა სტერლ.	3.1602
რუბლი	0.0645

ამბები	A 2
ამბები	A 3
სამართალი	A 4
პრესომბუდსმენი	A 5
პროექტი	A 6
ეკონომიკა	A 7
სხვადასხვა	A 8

გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. №51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან) ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86



მკითხველს ბოდიშს ვუხდით შეფერხებისთვის, რომელიც გამოწვეული იყო რედაქციის ახალ ოფისში გადასვლით.

რეფორმებს ვადები არ აქვს

გია ქავთარაძე: "იუსტიციის სამინისტრო რეალურად უნდა იქცეს სახელმწიფოს სამართლებრივ მრჩევლად"

ზვიად რუაძე

იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის განცხადებით, მის უწყებაში მისი წინამორბედების მიერ დაწყებული რეფორმები ჯერ არ დასრულებულა. მოსალოდნელია სიახლეებიც: დაგეგმილია იუსტიციის სამინისტროსთვის ისეთი სფეროების ჩამოშორება, როგორიცაა კავშირების და ფონდების რეგისტრაცია. ასეთი სახის რესტრუქტურიზაცია ხელს შეუწყობს უწყების საკადრო და საფინანსო ოპტიმიზაციას. თუმცა, მომავალი სარეფორმო სვლების განხორციელებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

იუსტიციის მინისტრმა "24 საათთან" საუბრისას ყურადღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზეც გაამახვილა, რომლის შექმნაზე მუშაობაც, შვიდი წელია, მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, მის დასრულებას კიდევ გარკვეული პერიოდი დასჭირდება.

- ბატონო გია, თქვენი მოწვევით საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაცია ეწვია, კომისიის მდივნის ჯანი ბუკიკიოს ხელმძღვანელობით. ცნობილია, რომ ვენეციის კომისიის წევრები ექსპერტების სტატუსით ჩართულები არიან ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და რესტიტუციის შესახებ კანონპროექტზე მუშაობაში. ვიზიტის მიზანი სწორედ ამ კანონპროექტის დეტალური განხილვა იყო. საინტერესოა, როგორი შედეგით დასრულდა ვენეციის კომისიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში?

- ვენეციის კომისიის დელეგაციამ ის კანონპროექტი განიხილა, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა. მათ წარმოადგინეს თავიანთი ხედვა და შენიშვნები, ზოგადად, კანონპროექტთან დაკავშირებით.

გაგრძელება A4 გვერდზე

რუსეთმა უკან დაიხია

ქართული სამშვიდობო კონტინგენტის როტაციამ ცხინვალსა და მოსკოვში პანიკა გამოიწვია. ოსურმა და რუსულმა მხარეებმა რადიკალური წინააღმდეგობისა და ხმამაღალი პროტესტების შემდეგ უკან დაიხიეს და, "კეთილი ნების" სახით, როტაციაზე თანხმობა განაცხადეს. რეგიონში დამატებით ორასამდე ქართველი სამხედრო შევიდა.

დიმიტრი ავალიანი

საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს, რომლებიც კვირას, დაგეგმილი როტაციის განსახორციელებლად, ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში მიემგზავრებოდნენ, გზა რუსულმა სამშვიდობო ძალებმა და ოსურმა ფორმირებებმა გადაუღობეს. მათ შემოვლითი გზაც გადაკეტეს, რომლითაც შესაძლებელი იყო ლიახვის ხეობაში ცხინვალის გვერდის ავლით შეღწევა. საპასუხოდ, ქართულმა სამშვიდობო ბატალიონმა რუს და ოს სამშვიდობოებს ცხინვალი-ჯავის ცენტრალური გზა გადაუკეტა. ქართული და რუსული სამშვიდობო ქვედანაყოფები გაძლიერებულ მზადყოფნაზე გადავიდნენ.

სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, ქართულ, ოსურ და რუსულ მხარეებს რეგიონში, სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში, ხუთას-ხუთასი სამხედრო მოსამსახურის ყოლის უფლება აქვთ. 2004 წლის დაპირისპირების შემდეგ, ქართული ქვედანაყოფის რიცხოვნობა შემცირებული იყო და 100 კაცს არ აღემატებოდა.

ქართული სამშვიდობო ქვედანაყოფის დიდი როტაციის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა შაბათს გაახმოვანა. საქართველო ცალმხრივი წესით საკუთარი სამშვიდობო გეგმის რეალიზაციას შეუდგა. პირველი რიგის ამოცანად თბილისი კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას მიიჩნევს, ამისთვის კი ქართულ მხარეს კონფლიქტის ზონიდან გამოჰყავს სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფები და რეგიონში მხოლოდ ადგილობრივ პოლიციელებს ტოვებს. სულ ქართული სამშვიდობო ბატალიონის რიცხოვნობა ამ ეტაპზე 330 კაცით განისაზღვრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმისკენ მოწოდება

ასე აფასებს ნინო ბურჯანაძე რუსი პოლიტიკოსების გამოსვლებს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთის ქმედებებით შეშფოთებული და აღშფოთებულია. იგი პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველს გლებ პავლოვსკის სერიოზულ ბრალდებას უყენებს. სპიკერის განცხადებით, ტელეკომპანია "ნტვ"-ს შაბათის ეთერში პავლოვსკიმ საქართველოს პრეზიდენტზე ტერაქტის მოწყობის პირდაპირი მოწოდება გააკეთა.

"ერთი ტყვიის ფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კონფლიქტის ზონაში მასობრივი სისხლისღვრისა," - რუსი მრჩევლის ამ განცხადებას ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმისკენ პირდაპირ მოწოდებად მიიჩნევს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე სპიკერმა იმასთან დაკავშირებითაც გამოთქვა პროტესტი, რომ ოფიციალურმა მოსკოვმა ვენაში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე უარი თქვა და ეს სხდომა მოსკოვში, ქართული მხარის გარეშე გამართა.

"ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარების პროცესში ოთხი კი არა, რეალურად, მხოლოდ ორი - ქართული და რუსული - მხარეა ჩართული," - აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ზემოთ აღნიშნულ ორივე ფაქტზე ნინო ბურჯანაძე საერთაშორისო საზოგადოებისგან რეაგირებას ითხოვს. **"რაც უფრო მალე გაიგებს საერთაშორისო თანამეგობრობა, ვისთან გვაქვს საქმე, მით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც და მათთვისაც,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბანდის ლიდერი - პოლიციის ყოფილი ჩინოსანი

რამდენიმე დღის წინ, ყვარლის რაიონულმა სასამართლომ გურჯაანში მომხდარი გახმაურებული მკვლელობების საქმის განხილვა დაიწყო. საუბარია 2003-2004 წლებში დედა-შვილის, დარინა პაპუნაშვილის და ნინო კალატოზიშვილის მკვლელობის, აგრეთვე ცოლ-ქმარ ვენერა და ომარ ნიბლაძეების საკუთარ სახლში ჩაცხრილვის შესახებ. კახეთის სამხარეო პროკურატურამ ყველა ამ მკვლელობის ორგანიზატორად შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი მოადგილე გოჩა ნაზღაიძე დაასახელა. სასამართლო პროცესი გასულ კვირას დაიწყო და დღეს გაგრძელდება.

დედა-შვილის დარინა პაპუნაშვილის და ნინო კალატოზიშვილის, ასევე, ცოლ-ქმარ ნიბლაძეების მკვლელობების გახსნასთან დაკავშირებით პირველი ინფორმაცია გაზეთმა "24 საათმა" გაახმაურა. კახეთის საოლქო პროკურატურის მიერ მოკვლეული მასალების თანახმად, გურჯაანში მომხდარი ეს მკვლელობები ამავე რაიონის მცხოვრებლებმა, წარსულში სხვადასხვა დანაშაულში მხილებულებმა ზურაბ გეთიაშვილმა, კობა აბაზაშვილმა და გოჩა ვარაზაშვილმა ჩაიდინეს. ბანდის ლიდერად კი პროკურატურამ სამხარეო პოლიციის ყოფილი მოადგილე გოჩა ნაზღაიძე დაასახელა. დანაშაულში ეჭვმიტანილების ადვოკატები დღემდე აცხადებენ, რომ პროკურატურა გამოძიებას მთელი რიგი დარღვევებით აწარმოებდა და გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებიც ყალბია. ასეთი განცხადებები გასულ კვირას ყვარლის რაიონულ სასამართლოშიც გაკეთდა.

პროცესის დაწყებისთანავე ბრალდებულების - კობა აბაზაშვილის და ზურაბ გეთიაშვილის ადვოკატმა მაია ახალაძემ მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა და მისი დაცვის ქვეშ მყოფთათვის აღმკვეთი ღონისძიების გაუქმება მოითხოვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

უცხოეთი

ვლადიმირ პუტინი "ჰამასის" ლიდერებს პირადად არ შეხვდება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მესამე პირის მეშვეობით ისრაელის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელს ეჰუდ ოლმერტს აცნობა, რომ პირადად არ შეხვდება "ჰამასის" ლიდერებს, რომლებიც მოსკოვში, სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში ჩავლენ. ამის შესახებ ისრაელის გაზეთი "ედიოთ აჰრანოთი" წერს. ამავდროულად, პუტინმა ოლმერტს აუწყა, რომ შეხვედრას პალესტინის რადიკალური მოძრაობის "მხოლოდ მეორე პირებთან" აპირებს. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის კანონებით "ჰამასი" ტერორისტულ ორგანიზაციად არ ითვლება.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ადრე ისრაელის მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის მეშვეობით "ჰამასის" მოძრაობის და რუსეთის ხელმძღვანელობის ოფიციალური კონტაქტების საკითხზე თავისი ქვეყნის პოზიცია გაახმაურა. ოლმერტის აზრით, ამგვარი მოლაპარაკება დაუშვებელია, რადგან პალესტინელები, რომლებიც მარტის დასაწყისში რუსეთის დედაქალაქში ჩასვლას აპირებენ, ტერორისტები არიან.

გარდა ამისა, "ედიოთ აჰრანოთი" იუწყება, რომ მოსკოვში პალესტინის ავტონომიის ის დელეგაცია უნდა ჩავიდეს, რომელიც გასულ კვირაში თურქეთს ეწვია. მას პალესტინის რადიკალური მოძრაობის პოლიტბიუროს ხელმძღვანელი, დამასკოში მცხოვრები ჰალედ მაშალი ხელმძღვანელობდა. ისრაელის და აშშ-ს ზეწოლის შედეგად, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან დაგეგმილი შეხვედრა გაუქმდა. "ჰამასის" ლიდერებმა მხოლოდ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა მოახერხეს.

აშშ რუსეთში "თავისუფლების მხარდაჭერას" შეამცირებს

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია მომავალ წელს რუსეთში "თავისუფლების მხარდაჭერისთვის" 13 მილიონ დოლარზე ნაკლებს დახარჯავს, - ინფორმაციას ამის შესახებ გავლენიანი ამერიკული გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" თეთრი სახლის 2007 წლის ბიუჯეტის პროექტზე დაყრდნობით ავრცელებს.

რუსეთში ყოველწლიურ პროგრამებზე დანახარჯები აშშ-ს კონგრესის მიერ 1992 წელს გათვალისწინებული 44,2 მილიონიდან 31,2 დოლარამდე შემცირდება. "სეკვესტრი" ადამიანის უფლებათადამცავ და სხვა ორგანიზაციებს, ასევე ჟურნალისტების ტრენინგებსა და არჩევნებზე დამკვირვებლებს შეეხებათ. ბიუჯეტში შემცირებულია "სამეცნიერო და პროფესიული ფართო წრეების გაცვლითი პროგრამების" დაფინანსებაც. იხსენებს რა რადიოსადგურ "ამერიკის ხმის" რუსულ ენაზე მაუწყებლობის დახურვასაც, "ვაშინგტონ პოსტი" აცხადებს, რომ დაფინანსების შეზღუდვის მიზეზი არა პოლიტიკა, არამედ ბიუჯეტია. "ფული, რომელიც რუსეთზე იხარჯებოდა, ახლა ირანში, ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში მიემართება," - წერს გაზეთი. თუმცა, პუბლიკაციის ავტორი ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას აკრიტიკებს და მას "შორსმჭვრეტელობის უქონლობაში" ადანაშაულებს. "2008 წელს რუსეთში მნიშვნელოვანი არჩევნები ტარდება, რომელიც რუსეთის მომავალი დემოკრატიის ხასიათს განსაზღვრავს," - წერს სტატიის ავტორი.

მორიგი მსხვერპლი ერაყში

ერაყის დედაქალაქ ბაღდადში გუშინ განხორციელებული ტერაქტის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა და 9 დაიჭრა. როგორც ტელეარხი "ალ-ჯაზირა" ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება, ინციდენტი ელ-ქაზიმიას რაიონში მოხდა, რომელიც უპირატესად შიიტებითაა დასახლებული. წინასწარი მონაცემებით, კამიკაძე ტერორისტმა სამგზავრო მიკროავტობუსში თავი აიფეთქა. მომხდარის სხვა დეტალებზე ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა. გუშინვე ერაყის ქალაქ მოსულის ერთ-ერთ რესტორანში ბომბი აფეთქდა. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 5 ადამიანი დაიღუპა და 21 დაიჭრა. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა სააგენტოს აცნობეს, რომ დაღუპულთა შორის ერთი პოლიციელი და ოთხი სამოქალაქო პირია. **ინტერპრესნიუსი**

ეკონომიკური სანქციები პალესტინის წინააღმდეგ

ისრაელმა პალესტინის ავტონომიის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები დააწესა.მინისტრთა კაბინეტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პალესტინის პარლამენტის დეპუტატებმა, რომელთა უმრავლესობას რადიკალური დაჯგუფების "ჰამასის" წევრები შეადგენენ, ფიცი დადეს. ავტონომიის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ პალესტინის ტერიტორიაზე შესაძლოა, ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს. საერთაშორისო გაერთიანება "ჰამასს" მოუწოდებს, უარი თქვას ძალადობაზე, აღიაროს ისრაელი და პალესტინის ავტონომიის მიერ ადრე ხელმოწერილი შეთანხმებები შეასრულოს. კვირას ღაზას სექტორში და იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაელმა სამხედროებმა ოთხი პალესტინელი "ბოევიკი" მოკლეს.

რუსეთი შავი ზღვის ფლოტის გაყვანის საკითხზე არ მუშაობს

რუსეთი უკრაინის ტერიტორიიდან შავი ზღვის ფლოტის გაყვანის საკითხზე არ მუშაობს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა ვლადიმირ დოროხინმა განაცხადა. "დღეისათვის ფლოტი სხვა გეგმების - საბრძოლო მომზადების დონის გაზრდის გეგმების დამუშავებითა და რეალიზაციითაა დაკავებული," - თქვა მან. გასულ ოთხშაბათს უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ სევასტოპოლში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 2017 წელი - ეს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფნის ბოლო წელია. გარდა ამისა, უკრაინა რუსეთს შავი ზღვის ფლოტის დისლოკაციის ადგილებში სამხედრო გემების, სამხედრო პროკურატურის და სამხედრო პატრულის საქმიანობის შეწყვეტას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ "სიტუაციის დრამატიზების ყოველგვარი მცდელობა და მის ირგვლივ პროპაგანდისტული კამპანიების მოწყობა კონტრპროდუქტიულია." **ინტერპრესნიუსი**

კოსოვოს სტატუსზე მოლაპარაკება იწყება

ვენაში გუშინ კოსოვოს სტატუსზე სერბებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. იურიდიულად კოსოვო სერბეთისა და ჩერნოგორიის შემადგენლობაში რჩება, თუმცა, ნატო-ს ოპერაციის შემდეგ, 1999 წლიდან, მას გაერო მართავს. ალბანელები, რომლებიც კოსოვოს მცხოვრებთა 90 პროცენტს შეადგენენ, დამოუკიდებლობას მოითხოვენ, მაგრამ სერბეთი ამის წინააღმდეგია და მხარეში მცხოვრები სერბული უმცირესობის ბედით შეშფოთებას გამოთქვამს. მოლაპარაკების პირველი რაუნდი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას და კოსოვოს ეთნიკური უმცირესობების უფლებების გაფართოებას მიეძღვნება. კოსოვოს საკითხზე საერთაშორისო "საკონტაქტო ჯგუფის" წარმომადგენლები მოლაპარაკების ძირითად პრინციპზე შეთანხმდნენ. მხარე სერბეთის პირდაპირი კონტროლის ქვეშ არ უნდა დარჩეს; არ შეიძლება, ეთნიკურ ანკლავებად დაიყოს, ან სხვა ქვეყანას, მაგალითად, ალბანეთს შეუერთდეს. მოლაპარაკების პროცესს კოორდინაციას გაეროს რწმუნებული, ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი მარტი ახტისაარი უწევს.

საჰაერო მართვის მეთვალყურეთა მომზადება

ზოგადი პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შპს “საქაერონავიგაცია” სთავაზობს საჰაერო მართვის მეთვალყურეების მოსამზადებელ კურსებს. მსურველთა შერჩევა მოხდება ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით.

სწავლება დაიწყება მიმდინარე წლის მაისში შპს “საქასტაკის” საერთაშორისო სასწავლო ცენტრში, მისამართზე: თბილისი, აეროპორტი 0158. სწავლებას წარმართავენ ბრიტანელი ინსტრუქტორები ICAO-ს მიერ აკრედიტებული პროგრამით. სწავლება იწარმოებს ინგლისურ ენაზე. კურსდამთავრებულების მიერ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდგომ მოხდება მათი დასაქმება შპს “საქაერონავიგაციაში”.

აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ასაკი - 19-დან 25 წლამდე
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა, რაც შემოწმებული იქნება ტესტირებით
- ტექნიკური საგნების (მათემატიკის) ცოდნა
- ინტერესი ავიაციის სფეროსადმი
- დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა

მსურველებს გთხოვთ, მიმართოთ ბრიტანეთის საბჭოს სააპლიკაციო ფორმებისათვის, შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზირი N34, 17.00 საათამდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, ტელ: 250407; 988014; 923402; 935723 ან იხილეთ ვებ-გვერდი www.britishcouncil.org/ge. შევსებული ფორმები უნდა დაუბრუნდეს ბრიტანეთის საბჭოს 24 თებერვლამდე.

განაცხადების შერჩევის შემდეგ, 14 მარტს ჩატარდება ინგლისური ენის ტესტი “შერატონ მეტეხი პალასში”. ტესტში გასული მონაწილეები გაივლიან გასაუბრებას, რომელიც ჩატარდება უშუალოდ ინგლისელების მიერ 24 მარტს.

"სინათლის ქალაქი" ნაგავს მიაქვს

ნათია მსხილაძე

"სინათლის ქალაქი" ნელ-ნელა ნაგავში იძირება. ამას არაერთხელ აკრძალული გარევაჭრობაც დაერთო, აღარც ერთ დროს კარგად გაპიარებული მეეზოვის ინსტიტუტი მუშაობს და ქუჩაში ფეხით მოსიარულეს გზის გაკაფვა ნაგავში უწევს.

იქ. სადაც იმპროვიზებული ბაზრობებია გამართული, ასეთი "სისუფთავეა". ნათია ლურსმანაშვილის ფოტო

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი არ უარყოფს, რომ ქალაქი ნაგავმა წალეკა, თუმცა მისი განმარტებით, თბილისი მას შემდეგ დასუფთავდება, რაც საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგვა-დასუფთავებაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულს გამოავლენენ. აღნიშნული ტენდერი 9 იანვარს გამოცხადდა და ამ დროისთვის განაცხადი მხოლოდ ექვსმა მსურველმა შეიტანა. აქედან ორი უცხოური კომპანიაა. **"ქალაქში ამ მხრივ მძიმე სიტუაციაა. დღეს არსებულ შპს-ებს შესაბამისი ტექნიკა არ აქვთ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგვა-დასუფთავებაზე ტენდერი გამოვაცხადეთ და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდეგ ქალაქში სიტუაცია გამოსწორდება,"** - აცხადებს კობა სუბელიანი.

გამარჯვებულის გამოვლენამდე კი ქალაქში ანტისანიტარიაა და არ არის გამორიცხული, ამ ყველაფერს ეპიდემიაც მოჰყვეს.

ერთ დროს აკრძალული გარევაჭრობა ისევ აქტიურად გაჩაღდა. გარემოვაჭრეთა რიცხვს მეტროს ტერიტორიიდან აღებულ ჯიხურებში მომუშავეებიც შეუერთდნენ. მათი თქმით, ისინი გარევაჭრობით თავის გადარჩენას ცდილობენ, რადგან ალტერნატივა არ გააჩნიათ.

როგორც ქალქის პრემიერმა, თემურ ქურხულმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, იგი გარევაჭრობის გააქტიურებასთან დაკავშირებით ინფორმირებული არ იყო. **"როგორც ჩანს, გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება ისევ მოგვიწევს. მეტროში მდებარე უსახური ჯიხურების აღება უსაფრთხოების თვალსაზრისითაც აუცილებელი იყო. ახლა გარევაჭრობის მოწესრიგებაზე ვმუშაობთ. უახლოეს მომავალში მიწა იჯარით გაიცემა და გარეთ მდგარი ჯიხურების დიზაინიც შეიცვლება,"** - აცხადებს ქურხული.

ასე რომ, მუნიციპალური ჩინოვნიკები გარევაჭრობის მოწესრიგებისთვის დიზაინერს ელიან, ქალაქის ნაგვისგან გასუფთავებისთვის კი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას. მანამდე კი "სინათლის ქალაქი" ნაგავს მიაქვს.

შავი ზღვის 100000 კვადრატული მეტრი ნავთობმა დაფარა

ოთარ ქირია

მდინარე ბარცხანიდან შავ ზღვაში ნავთობი ჩაიღვარა. ბათუმის პორტიდან შავ ზღვაში ნავთობის ჩაღვრის ფაქტი კვირას, დილით დაფიქსირდა. შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების ვარაუდით, შავ ზღვაში ნავთობის მოხვედრა ბათუმის პორტიდან გამავალი მილსადენების დაზიანებამ გამოიწვია, თუმცა ჯერ კიდევ დაუდგენელია, საიდან იღვრება საწვავი - ბათუმის ნავთობტერმინალიდან თუ ნავთობბაზიდან.

სპეციალისტების განმარტებით, მას შემდეგ, რაც ნავთობის შეჩერება მოხერხდება, სინჯებს აიღებენ და ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის ზუსტ რაოდენობას დაადგენენ. ბათუმის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლის დავით ფირცხალაიშვილის განცხადებით, მისმა სამსახურმა ნავთობის გაჟონვასთან დაკავშირებით ინფორმაცია კვირას დილით მიიღო, სავარაუდოდ კი საწვავი ზღვაში მთელი ღამის განმავლობაში იღვრებოდა.

"დაღვრა, სავარაუდოდ, გამოიწვია მილის დაზიანებამ, რომელიც ტერმინალიდან გემზე ახორციელებს ნავთობის ტრანსპორტირებას. წინასწარი ინფორმაციით, დაზიანების მიზეზი მილების სიძველეა," - ამბობს აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი ირაკლი გორაძე.

- პასუხს ვინ აგებს?

- შესაბამისი სამსახურების მიერ უნდა დაფიქსირდეს და დადასტურდეს კონკრეტული ობიექტი, რომლის მიზეზითაც მოხდა დაღვრა და პასუხისმგებლობაზე საუბარი შემდეგ დაიწყება. ამ საქმეზე აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველოში საქმეც აღიძრა.

- პასუხისმგებლობა რას გულისხმობს?

- ჯარიმას. კონვენციური ინსპექცია ამაზე უკვე მუშაობს და შედეგები ხვალ იქნება.

- ვინ განახორციელებს გასუფთავებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს?

- პორტს ჰყავს სპეციალური მცურავი საშუალება, რომელიც ჩაღვრილ მასას მოაგროვებს. ნავთობი მსუბუქია და წყლის ზედაპირზე გროვდება. საბედნიეროდ დღეს არც ქარია და არც დინება, ამიტომ ნავთობი არ გაფანტულა. ამდენად, გამწმენდი სამუშაოების ჩატარება არ გაჭირდება. შესაბამისად, საფრთხეც ნაკლებია.

- სამუშაოები უკვე დაიწყო?

- რა თქმა უნდა დაიწყო, როგორც ზღვაზე, ისე მდინარეში.

"ანალიზები უკვე აღებულია. ველოდებით ლაბორატორიის დასკვნას, თუმცა წინასწარი შეფასებით დაღვრილია 2-3 ტონა ნავთობი. მას ზღვის ასი ათასი კვადრატული მეტრი აქვს მოცული. ჯერჯერობით, კარგი ამინდის გამო ნავთობი არ გაფანტულა, თუმცა თუ პირობები შეიცვალა, შეიძლება ვითარება გართულდეს," - ამბობს შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ გოგოტიშვილი.

ნავთობის გადაზიდვა შეჩერებულია და ადგილობრივი სამსახურების ინფორმაციით, ის ან მილების აღდგენითი სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყო, რათა ოპერატიულად მოხდეს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია და მომხმარებლებისათვის ელექტრომომარაგების აღდგნა.

პრაიმ-ნიუსი

ბათუმის ნავთობტერმინალი 50 000 აშშ დოლარით დაჯარიმდება

შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შავ ზღვის ბათუმის აკვატორიაში ნავთობის ჩაღვრისთვის სავარაუდოდ 50 000 აშშ დოლარის ჯარიმის გადახდა მოუწევს. ამის შესახებ, ბათუმის ნავთობტერმინალის დირექტორის თანაშემწემ კონსტანტინე მეგრელიშვილმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, ნავთობის ჩაღვრა ტერმინალის მიწაში დამონტაჟებული ერთ-ერთი მილის დაზანებით იყო განპირობებული, რაც მძიმეტონიანი ავტომობილის მაღალმა ვიბრაციამ გამოიწვია. მეგრელიშვილის განაცხადებით, ჩაღვრილი საწვავი 0,5 ტონას არ აღემატება, ამ დროისათვის მიმდინარეობს ზღვის წყალში ნავთობის კონცენტრაციის დადგენა, რის საფუძველზეც დაღვრილი ნავთობის მოცულობა გაირკვევა. შავ ზღვაში ბათუმის პორტთან ნავთობის ჩაღვრის ფაქტი კვირას დილით დაფიქსირდა.

ბათუმის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს წარმომადგენლის დავით ფირცხალაიშვილის განცხადებით, მისმა სამსახურმა ნავთობის გაჟონვასთან დაკავშირებით ინფორმაცია კვირას დილით მიიღო, სავარაუდოდ კი საწვავი ზღვაში მთელი ღამის განმავლობაში იღვრებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

ქუთაისი კვლავ დენის გარეშე

ქუთაისის მოსახლეობის ნაწილს მესამე დღეა ელექტროენერგია არ მიეწოდება. როგორც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" განაცხადეს, ამის მიზეზი 19 თებერვალს, მაღალი ძაბვის ქვესადგურების - "წყალწითელას" და "მოწამეთას" ავარიული გამორთვაა, საიდანაც ელექტროენერგიით ქალაქის საფიჩხიის დასახლების ნაწილი მარაგდება. ენერგოკომპანიის ინფორმაციით, ავარიის შედეგად ქვესადგურ "წყალწითელაში" დაზიანდა 4-მეგავატიანი ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომლის გათიშვამ ავტომატურად გამოიწვია მეორე ქვესადგურის "მოწამეთისთვის" ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა. აღნიშნული დაზიანების გამო ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილია დაახლოებით 1500 მომხმარებელი.

როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, აღდგენითი სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყო, რათა ოპერატიულად მოხდეს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია და მომხმარებლისათვის ელექტრომომარაგების აღდგნა.

პრაიმ-ნიუსი

საქართველო მოგზაურობისა და მუშაობისთვის საშიში ქვეყნების სიაში მოხვდა

ამერიკულმა ჟურნალმა "ფორბსმა" მოგზაურობისა და მუშაობისთვის საშიში ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც 14 სახელმწიფო მოხვდა, მათ შორის საქართველო.

რეიტინგის შესადგენად ჟურნალისტებმა რამდენიმე საერთაშორისო კომპანია გამოკითხეს, რომლებიც საშიშ ქვეყნებში მომუშავე ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის რისკებს აფასებენ და მათ კონსულტაციებს უწევენ. ქვეყნები რამდენიმე კატეგორიით შეფასდა: პოლიტიკური და ტერორისტული რისკები, სამოქალაქო ომის დაწყების შესაძლებლობა, დანაშაულობათა საერთო დონე და სამართალდამცველი ორგანოების მუშაობა.

შედეგად 2006 წლის ყველაზე საშიში 14 სახელმწიფოდან ცხრამ უმაღლესი 5 ქულა მოაგროვა. ესენია: აფრიკის კონტინენტის 6 ქვეყანა - სომალი, სუდანი, ზიმბაბვე, კოტ-დივუარი, კონგო და ლიბერია, ასევე ავღანეთი, ერაყი და კარიბის ზღვის აუზში მდებარე ჰაიტი. ამ ქვეყნებისთვის დამახასითებელია **"დესპოტური მმართველობა, დაბალი საგანმანათლებლო დონე და სოციალის დაბალი ფასეულობა,"** - აღნიშნავს "ფორბსი".

ერთი ქულით ნაკლები მიიღო რუსეთმა ბურუნდისთან, პაპუა-ახალ გვინეასთან და პაკისტანთან ერთად. რუსეთი რეიტინგში კავკასიის რეგიონის რესპუბლიკებში და უპირველეს ყოვლისა, ჩეჩნეთში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო მოხვდა. მოგზაურებს ურჩევენ ჩრდილოეთ ოსეთს, ინგუშეთს, დაღესტანს, სტავროპოლს, ყარაჩაი-ჩერგეზეთს, ყაბარდო-ბალყარეთსა და ჩეჩნეთს არ ეწვიონ.

"უკანონობის ვითარებაში ეს რეგიონები დღემდე ღია პარტიზანული ომითაა მოცული. იქ ხშირია გამოსასყიდის მიღების მიზნით უცხოელის გატაცება, ასევე ტერაქტები და სასტუმროების, სამთავრობო შენობების, ბაზრებისა და სკოლების აფეთქება," - წერს "ფორბსი".

რეიტინგში ბოლო ადგილზე საქართველოა - 3 ქულა. გამოცემის შეფასებით, ქვეყნის უმეტეს ნაწილში ყოფნა უცხოელისთვის საშიშია, რაც 1990-იანი წლების სამოქალაქო ომს უკავშირდება. **"სეპარატისტული ოლქები, რომლებიც თბილისის ხელისუფლებას არ ცნობენ, საქართველოს ჩრდილოეთ-ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებობენ,"** - წერს "ფორბსი". ამერიკული გამოცემა არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას და ხშირ თავდასხმებს აღნიშნავს და მოგზაურებს რეკომენდაციებს აძლევს **"ზედმიწევნით ფრთხილად იყვნენ საქართველოში, განსაკუთრებით პანკისის ხეობაში, სადაც ქართული ძალები ჩეჩენ ბოევიკებს და სხვა ტერორისტებს შეეჯახნენ".**

ინტერპრესნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის "ქრისტიანული თეოლოგიის და რელიგიათა ისტორიის შემსწავლელი კომისია" მუსლიმანთა წინასწარმეტყველის მუჰამედის შეურაცხმყოფელი კარიკატურების გამოქვეყნებას განცხადებით ეხმაურება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ შეუძლებელია ვსაუბრობდეთ დემოკრატიულ ღირებულებებზე და, ამავე დროს, ფეხქვეშ ვთელავდეთ მის პრინციპებს. პრესის თავისუფლება არ ნიშნავს, რომ დასაშვებია ადამიანების, ერებისა და რელიგიების შეურაცხყოფა.

"უკანასკნელ სამწუხარო მოვლენათა მიზეზი რწმენის, ზნეობისა და ცოდნის დეფიციტია. პროგრესი და დემოკრატია კატასტროფის მოსაპოვარია, თუმცა ურწმუნო და უზნეო ადამიანთა ხელში მომაკვდინებელ იარაღად შეიძლება იქცეს," - ნათქვამია განცხადებაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ინიციატივით, დედაქალაქში ბავშვთა ალტერნატიული საკრებულო შეიქმნება.

ბავშვთა ალტერნატიული საკრებულოს ჩამოყალიბება სამ ეტაპს მოიცავს და მასში დედაქალაქის 207 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უფროსკლასელები მიიღებენ მონაწილეობას. პირველი ეტაპი 28 თებერვლამდე გაგრძელდება და მისი მიზანია სკოლებიდან ორ-ორი კანდიდატურის შერჩევა. მათ უნდა ახასიათებდეთ ორგანიზატორული ნიჭი, უნდა ფლობდნენ დებატების კულტურასა და განათლებას. დვალიშვილის თქმით, მეორე ეტაპი 12 მარტამდე დასრულდება. იგი როგორც რაიონულ არჩევნებს, ისე ტესტირებებს მოიცავს. არჩევნების პარალელურად მოსწავლეებს დაევალებათ ტესტირების გავლა უცხო ენებსა და უნარ-ჩვევებში. გადამწყვეტია საქალაქო არჩევნები, რომლის შემდეგ საკრებულო 37 დეპუტატით დაკომპლექტდება. საკრებულო მუშაობას აპრილისთვის შეუდგება, თუ საკრებულოს ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი ეტაპები დროულად დაფინანსდება. ღონისძიებებს თბილისის მერია აფინანსებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვის მერიამ აფხაზებს რამდენიმე სატვირთო მანქანა უსასყიდლოდ გადასცა. საჩუქარი პირველ ერთობლივ საწარმოს "მაკს" ერგო. სამი "კამაზისა" და "ზილის" ტიპის სატვირთო მანქანებთან ერთად, "მაკსმა" 2 ექსკავატორი მიიღო.

როგორც ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, საჩუქრებში ასევე იყო თანამედროვე სისტემით აღჭურვილი სახანძრო მანქანა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მტკიცებით, ანალოგიური ჰუმანიტარული აქციები მომავალშიც გაგრძელდება. "ჰუმანიტარული ტვირთების განსაზღვრისას, ყურადღება მიექცევა ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და ადმინისტრაციების მოთხოვნებს," - განმარტავენ მოსკოვის მერიის წარმომადგენლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით მოსკოვში 26 თებერვალს გაემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში ქართული მხარე დუმის სპიკერს ბორის გრიზლოვს შეხვდება. ასევე შეხვედრები იგეგმება საგარეო და თავდაცვის კომიტეტების ხელმძღვანელებთან. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, ქართული მხარიდან ვინ გაემგზავრება მოსკოვში, თუმცა დელეგაციის ხელმძღვანელი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი იქნება. უახლოეს ხანებში დაზუსტდება ასევე შეხვედრების გრაფიკიც. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სავაგონო მეურნეობის ფილიალებში - "თბილისის სავაგონო დეპოში", "სამტრედიის სავაგონო დეპოსა" და "ბათუმის სავაგონო დეპოში" დასაქმებულ მუშაკთათვის საათობრივი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები 25 პროცენტით გაიზარდა. ასევე 25 პროცენტით გაიზარდა საქართველოს რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობის ფილიალებში - "დასავლეთის სალიანდაგო სამმართველო", "აღმოსავლეთის სალიანდაგო სამმართველოსა" და "უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოში" დასაქმებულ მუშაკებისათვის საათობრივი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები. როგორც საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რკინიგზელთა ხელფასების მატება იგეგმება კომერციულ და მოძრაობის სამსახურებშიც. რკინიგზის თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა დაზღვევის პროექტი, რომელიც ტენდერის საფუძველზე განხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 26 თებერვალს მოსკოვში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრება. ვიზიტის მიზანია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების განხილვა და ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საქართველოს პოზიციის გაცნობა. განსაკუთრებული ყურადღება რუსულ-ქართულ ურთიერთობებში მორიგ დიპლომატიურ ხარვეზებსა და შეღრეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩაშლის მიზეზებზე გამახვილდება. წინასწარი ინფორმაციით, ზურაბ ნოღაიდელი შეხვდება რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ ფრადკოვს. ოფიციალური შეხვედრის ნუსხა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ასევე უცნობია ქართული დელეგაციის შემადგენლობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძირიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

რუსეთმა უკან დაიხია

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართველი სამშვიდობოების როტაციას ოსური მხარის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ ოსური მხრიდან ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ქართული ბატალიონის როტაცია რიგგარეშეა და ხელმოწერილი შეთანხმებების დარღვევას წარმოადგენს. მისი თქმით, **"ქართული ბატალიონი შერეულ სამშვიდობო ძალებს არ ექვემდებარება და მთლიანად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ემორჩილება."**

"ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველი სამშვიდობოების როტაცია, ექვსი თვის ნაცვლად, ყოველ ორ თვეში ერთხელ ტარდებოდა. ოსური მხარე დიდი ხანია აფრთხილებდა ქართულ მხარეს, რომ ეს ფაქტები არ დაეშვა. დღეს ჩვენ ამის გამო ქართველი სამშვიდობოები კინფლიქტის ზონაში არ შევუშვით," - განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ.

"შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გამოდევნის კამპანიის განხორციელება დაიწყო," - რუსული და ოსური მხარის შიში გაახმოვანა ბორის ჩოჩიევმა.

რუსულმა და ოსურმა მხარეებმა გუშინ მოსკოვში "შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების შეხვედრა" ქართული მხარის გარეშე, სამაგიეროდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მონაწილეობით მოაწყვეს. შსკ-ს თანათავმჯდომარემ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ კი, თავის მხრივ, აღნიშნა: მოსკოვში გამართული შეკრება ნათლად ადასტურებს, რომ შსკ-ს სახით **"არანაირი ოთხმხრივი ფორმატი არ არსებობს და სინამდვილეში ეს არის ორმხრივი ფორმატი,"** სადაც ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეები, რეალურად, იმავე რუსეთის მხარეს წარმოადგენენ. თავისი პოზიცია ხაინდრავამ გუშინ ეუთო-ს ქვეყნების ელჩებს გააცნო.

შსკ-ს თანათავმჯდომარემ ჩრდილოეთ ოსეთიდან თეიმურაზ კუსოვმა განაცხადა, რომ **"შსკ-ს თანათავმჯდომარეები რუსეთიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან აფიქსირებენ სხვაობას იმას შორის, რის დეკლარირებას ახდენს ქართული მხარე და რა ხდება სინამდვილეში"**. მისი თქმით, **"ახლანდელი მოვლენები მოწმობს, რომ საქართველო სამშვიდობოების გამოდევნას ცდილობს. ამისთვის მათი დისკრედიტაციის კამპანიები ტარდება; ამბობენ, რომ ისინი თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება."**

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ შსკ-ს თანათავმჯდომარეთა შეხვედრის მონაწილეებმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის როტაციაზე თანხმობა განაცხადეს. მან ისიც აღნიშნა, რომ ეს როტაცია "არსებული შეთანხმებების დარღვევას" წარმოადგენს. "კეთილი ნება" რუსეთის საგარეო უწყებამ სამხრეთ ოსეთში ბლოკადის მოხსნის სურვილით ახსნა.

ქართველი სამშვიდობოები ერგნეთიდან აჩაბეთისკენ გუშინ, დღის ოთხი საათისათვის დაიძრნენ.

პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმისკენ მოწოდება

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იგი ავალებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, საქართველოს პარლამენტის სახელით, საპროტესტო განცხადებები გაგზავნოს მეგობარი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოთა სახელზე.

თუმცა, როგორც ირკვევა, ნინო ბურჯანაძე არ აპირებს, მხოლოდ საპროტესტო წერილების დაგზავნით შემოიფარგლოს. პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პოზიციას პირადად წარმოაჩენს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, რომელიც ხვალ იხსნება ვენაში.

"ოფიციალური შეკითხვით მივმართავ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მოქმედ თავმჯდომარეს: როგორ აფასებს იგი იმ ფაქტს, რომ რუსეთი უარს ამბობს ლუბლიანის შეთანხმების შესრულებაზე," - დასძენს ნინო ბურჯანაძე.

ნინო ბურჯანაძე რუს პოლიტიკოსებს პროვოკაციულ განცხადებებში ადანაშაულებს, მიხეილ მაჭავარიანი კი მოსკოვში კოლეგებთან შესახვედრად მიემგზავრება.

მას შემდეგ, რაც პარლამენტის თავმჯდომარე ავსტრიის დედაქალაქში "იომებს", 26 თებერვალს, უშუალოდ მოსკოვში, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია "შეიჭრება". ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ამ დელეგაციაში იქნება პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

"რუს კოლეგებთან შეხვედრის დროს, ვეცდებით გავიგოთ, რა უდევთ გულში," - მზვერავის ფუნქციების "შეთავსებასაც" აპირებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

კვალიფიციური ოპონირება

"საქართველოს რესპუბლიკური პარტია" ახალი ინიციატივით გამოდის.

"რესპუბლიკელები" საზოგადოებას სთავაზობენ დემოკრატიული ალტერნატივის საკუთარ მოდელს, სახელწოდებით "რესპუბლიკური მომავლის ხელისუფლება". ამ პროექტით "რესპუბლიკელები" გეგმავენ სახელმწიფო მმართველობის ყველა მნიშვნელოვანი სფეროს გადაფარვას და ხელისუფლების ჩაყენებას კვალიფიციური, ინტენსიური და დროული ოპონირების რეჟიმში.

აღნიშნულ საკითხებზე "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა გუშინ პარტიულ კონფერენციაზე იმსჯელეს, სადაც "რესპუბლიკელებმა" ორი ძირითადი საკითხი - "პოსტკომუნიზმიდან ლიბერალური დემოკრატიისკენ" და "ვარდების რევოლუციიდან ნეობოლშევიზმისკენ" განიხილეს.

გარდა ამისა, "რესპუბლიკური პარტია" გამოდის ინიციატივით, შეიქმნას გაერთიანებული ოპოზიციურ-კოალიციური ჩრდილოვანი სტრუქტურები იმ მიმართულებებით, რომლებშიც, მათი თქმით, ხელისუფლების საქმიანობის ავ-კარგიანობის განსაზღვრა შესაძლებელია მკაფიო კრიტერიუმებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით და არა პოლიტიკური იდეოლოგიის ან გემოვნების მიხედვით.

ასეთ კოალიციურ პროექტებად "რესპუბლიკელები" "ოპოზიციური სახალხო დამცველის", "ოპოზიციური კონტროლის პალატის" და "ოპოზიციური საკონსტიტუციო სასამართლოს" შექმნას მიიჩნევენ.

უახლოეს ხანებში დაგეგმილია დოკუმენტებისა და პროექტების წარდგენა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, მათ შორის - სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

დავით უსუფაშვილი: "მიხეილ სააკაშვილი კანონზე მაღლა აყენებს მარიფათიან ბიჭებს".

"რესპუბლიკური პარტიის" წევრთა მოსაზრებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ვერც დემოკრატიულ და ვერც ავტორიტარულ სახელმწიფოს ვერ ააშენებენ. ამიტომ "რესპუბლიკელები" სააკაშვილის მმართველობას პოსტსაბჭოური გარდამავალი პერიოდის მორიგ ფაზად განიხილავენ.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი კანონზე მაღლა აყენებს "მარიფათიან ბიჭებს" - მერაბიშვილებს, ოქრუაშვილებს, ბოკერიებს, კეზერაშვილებს, კირკიტაძეებს და სხვა. მისი თქმით, პრეზიდენტს და მის გუნდს კანონის უზენაესობის და დემოკრატიული პრინციპების ერთგულების უნარი არ გააჩნიათ და მათთვის დემოკრატია მისაღებია მხოლოდ იმ დოზით და ფორმით, რომელიც ერთპიროვნულ მმართველობაში ხელს არ შეუშლით.

ინტერპრესნიუსი

ᲔᲙᲐ ᲥᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

პრეზიდენტის მთავარი შეცდომა

"მე სააკაშვილის დიდი მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ დღეს არ მომწონს, როგორ ლაპარაკობს პრეზიდენტი. მაგალითად, როდესაც ამბობს, რომ მტრების ჯინაზე რაღაცას აკეთებს, ვერ ვხვდები, მე ვარ მისი მტერი? კრიტიკა მტრობას ნიშნავს?" - ეს კითხვა რამდენიმე დღის წინ პირდაპირ ეთერში რადიომსმენელმა დამისვა. თუმცა, ბუნებრივია, ამ კითხვის რეალური ადრესატი მე არ ვიყავი.

პრეზიდენტისთვის ასეთი კითხვის დასმის სურვილი მეც ხშირად გამჩენია, რადგან, როდესაც იგი აცხადებს, რომ ვიღაცეების, მაგალითად, მტრების თუ "მოკლე ტვინისა და გრძელი ენების პატრონების", ჯინაზე რაღაცეებს აკეთებს, სულ მაინტერესებს, მე, როგორც ჟურნალისტი, ამ სიაში შევდივარ თუ არა.

როდესაც პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის მიერ გამოყენებულ შეფასებებსა და ლექსიკაზე პრეტენზიას გამოვთქვამდი, ხელისუფლებისგან მუდმივად ერთი და იგივე არგუმენტი მესმოდა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რას ვფიქრობ მე და ჩემი ნაცნობ-მეგობარი ინტელექტუალები თუ ფსევდოინტელექტუალები. მთავარია, რას ფიქრობს უბრალო ხალხი. "უბრალო ხალხს" კი, როგორც მიხსნიდნენ, ხელისუფლების ენა და ლექსიკა ძალზე მოსწონდა.

ჩემი რადიომსმენელი, რომელიც, ალბათ, 50 წელს გადაცილებული ქალბატონია, არ მგონია, "ფსევდოინტელექტუალების" ვიწრო წრეს მიუკუთვნებოდეს. მგონი, ის სწორედ ე.წ. "უბრალო ხალხის" წარმომადგენელია, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ზუსტად ისევე ფიქრობს, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი.

უნდობლობის გამოცხადება ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც განსხვავებულად ფიქრობს, რომელსაც შეიძლება არ მოსწონდეს თბილისის ქუჩების ფასადების ფერი, რომელსაც არჩეული მერი ურჩევნია დანიშნულს და ა.შ., უკვე ტრადიციად იქცა.

ბევრ ინიციატივასა და ნაბიჯს, რომელიც ხელისუფლებას ეკუთვნის, შესაძლოა, ჰქონდეს გარკვეული ხარვეზები, მაგრამ პრინციპულად თითქოს ეს ნაბიჯები და ინიციატივები სწორია. თუ ეს ესეა, მაშინ რა არის პრობლემა?

პრობლემა ისაა, რაც ბევრ ადამიანში ჯერ ემოციურ, შემდეგ კი გაცნობიერებულ შინაგან პროტესტში ვლინდება.

პოზა, რომელიც ხელისუფლების ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ გუნდს აქვს აღებული, საშინლად გამაღიზიანებელი გახდა. გიგა ბოკერიას დიდაქტიკურ-აღმზდელობითი-იმპერატიული ტონი, მაია ნადირაძის აბსოლუტური კომპეტენციით სავსე ცინიზმი, არველაძის კომკავშირული თავდაჯერებულობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი არათუ ჭეშმარიტებას ღაღადებენ, არამედ თავად არიან ჭეშმარიტება. ხოლო იქ, სადაც ჭეშმარიტება მხოლოდ მათ უპყრიათ, სხვათა აზრს ძალა არ აქვს.

კავშირი ჭეშმარიტების ამ ხელოვნურ პედესტალზე ამხედრებულ სახელისუფლებო გუნდსა და საზოგადოებას შორის თანდათან იკარგება.

უკვე ძალიან დიდი ხანია პრეზიდენტი აღარ შეხვედრია სამოქალაქო საზოგადოების წევრებს და პირადად არ მოუსმენია მათი აზრი, რადგან, ალბათ, დარწმუნებულია, რომ მათი "ყიყინის" მოსმენა არაფერს მოუტანს. სამაგიეროდ, ღრმად სჯერა, რომ ხალხს ესაუბრება და მათთან უშუალო კავშირს ამყარებს მოხუცთა თავშესაფრების თუ მეტროს ხშირი სტუმრობით.

თუმცა, პრეზიდენტის ხილვით გამოწვეული დადებითი ემოციები, მისი ხელების დაკოცნა და გულში ჩახუტება, რამდენად არის საზოგადოებასთან შემდგარი დიალოგი, ძნელი სათქმელია. უფრო სწორად, ადვილი სათქმელია - ეს არ არის დიალოგი; ისევე როგორც არ იყო მინისტრებისთვის ყველა სატელეფონო ზარზე პასუხის გაცემის ბრანება ამ დიალოგის აღდგენის მცდელობა.

პრეზიდენტმა რომ ფრაქციების ლიდერთა მოსმენის სურვილი არ გამოთქვა, ამას, შესაძლოა, რამდენიმე ახსნა მოეძებნოს. ერთ-ერთი ახსნა კი, ბუნებრივია, ისიც არის, რომ სააკაშვილი არასერიოზულად უყურებს ოპოზიციას და არ აინტერესებს მისი აზრი. ამის გარკვეულ საფუძველს, შესაძლოა, ოპოზიციის ნაწილი იძლევა კიდეც. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის მიდგომებსა და დასკვნებში პრეზიდენტისათვის ყურადსაღები არაფერი მოიძებნება. შეკითხვები და შეფასებები, რომელიც ოპოზიციაში ჩნდება, საზოგადოების გარკვეულ ნაწილსაც აწუხებს. ასე რომ, ასეთ შემთხვევებში, სწორედ რომ საზოგადოების ამ ნაწილის იგნორირება ხდება და არა ოპოზიციის კონკრეტული ლიდერების.

გარდა ამისა, როდესაც ხელისუფლება ოპოზიციისგან კონსტრუქციულობას მოითხოვს, პირველ რიგში, კონსტრუქციულობა თავად უნდა აჩვენოს. ხოლო როცა ხელისუფლების მაღალჩინოსანი ერთ კონკრეტულ ოპოზიციურ ფრაქციას მეხუთე კოლონის თანამოაზრეობაში ადანაშაულებს მხოლოდ იმიტომ, რომ ფრაქციის წევრები მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შესახებ სრულიად ლეგიტიმურ კითხვებს სვამენ, ნამდვილად არ არის კონსტრუქციული თანამშრომლობის ნიმუში.

სწორედ საზოგადოების დიდი ნაწილის იგნორირებაა დღეს პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა და არა ის, რომ მას ორბელიანი რუსთაველში აერია. ეს შეცდომა მის ინტელექტში ეჭვის შეტანის საფუძველს ჯერ კიდევ არ იძლევა - მანამ, სანამ ჯერ კიდევ რჩება იმის მოლოდინი, რომ პრეზიდენტს და მის უახლოეს გარემოცვას დემოკრატიის არსი იმდენად მაინც ესმით, რომ ბოლომდე არ წავიდნენ მისი უმთავრესი პრინციპის - აზრთა პლურალიზმის აუცილებლობისა და განსხვავებული აზრის პატივისცემის წინააღმდეგ.

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. პარლამენტმა გურამ ჩალაგაშვილის კანდიდატურა, 133 ხმით 14-ის წინააღმდეგ, ცესკო-ს ახალ თავმჯდომარედ დაამტკიცა. ჩალაგაშვილს ცესკო-ს მდივნის პოსტი ეკავა.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲛᲡᲮᲘᲚᲐᲫᲔ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ გურამ ჩალაგაშვილის კანდიდატურა პარლამენტს პრეზიდენტმა წარუდგინა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ერთადერთი კანდიდატურა იყო. როგორც თავად ჩალაგაშვილი აცხადებს, პარლამენტში წარდგენამდე იგი საქართველოს პრეზიდენტს პირადად არ შეხვედრია და პრეზიდენტმა ბიოგრაფიის მიხედვით შეარჩია.

ცესკო-ს თავმჯდომარის სავარძელზე თავდაპირველად პრეტენზიას აცხადებდა ორი კანდიდატი - გურამ ჩალაგაშვილი და საარჩევნო კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე. გურამ ჩალაგაშვილის ცესკო-ს თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ მდივნობის რეალურ კანდიდატად გიზო მჭედლიძე ივარაუდება.

გურამ ჩალაგაშვილის განცხადებით, მისი მთავარი ამოცანა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება იქნება.

პოლიციამ თაგილონში კრიმინალური ჯგუფი დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ დილით ზუგდიდში შეიარაღებული დაჯგუფების 4 წევრი დააკავეს, რომლებიც ტერაქტების მოწყობის მცდელობაში არიან ეჭვმიტანილნი. დაკავებულთაგან ერთ-ერთი აფხაზეთის ე. წ. ორგზის გმირი ვალერიან ბჟანიაა. მას ავტომატი, ხელყუმბრები და დეტონატორები აღმოუჩინეს. მასთან ერთად დააკავეს ზუგდიდელები - 1984 წელს დაბადებული იაგო გუბელაძე, 1971 წელს დაბადებული ირაკლი ხარლამპიდი და 1977 წელს დაბადებული ხვიჩა ბუკია. ოპერაციის დროს ეჭვმიტანილებმა გაქცევა სცადეს, რასაც ორმხრივი სროლა მოჰყვა. დაკავებულების ჩხრეკის შედეგად პოლიციამ ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ხელყუმბარა და ნიღბები; აგრეთვე, ერთ-ერთი დაკავებულის, ირაკლი ხარლამპიდისგან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება "მარიხუანა". სამხარეო პოლიციის უფროსის მერაბ გერგაიას განცხადებით, დაკავებულები ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც სამედიცინო ექსპერტიზის შედეგად დადასტურდა. გერგაიას განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება შეიარაღებული ჯგუფის სხვა წევრების გამოვლენის მიზნით.

ინტერპრესნიუსი

ჰუმანიტარული ტვირთი პენიტენციური სისტემისთვის

გერმანიის მთავრობამ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი გამოგზავნა. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, გერმანიიდან გამოგზავნილი სამი კონტეინერი ფოთის პორტში უკვე შემოვიდა. იუსტიციის მინისტრის მოადგილის გივი მიქანაძის ინფორმაციით, ჰუმანიტარულ ტვირთში ორი სტომატოლოგიური კაბინეტი, სტერილიზატორი და თბილი ტანსაცმელია პატიმრებისთვის. ერთი სტომატოლოგიური კაბინეტი ქუთაისის N2 საპყრობილის, ხოლო მეორე - თბილისის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილში დამონტაჟდება.

24 საათია

გამომძალველი პოლიციელები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამომძალვის ფაქტზე ისანი-სამგორის სამმართველოს 3 თანამშრომელი დააკავეს. დაკავებულია ისანი-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი გოგა ორდენიძე და ამავე განყოფილების ინსპექტორები - ტარიელ მაისურაძე და ცეზარ მაჭავარიანი. პოლიციის ინფორმაციით, მათ მოქალაქეს, საქმის მოგვარების სანაცვლოდ, 200 აშშ დოლარი გამოსძალეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამომძიებას შსს გენერალური ინსპექცია აწარმოებს. დანაშაული, დამტკიცების შემთხვევაში, ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამა ციხეებსა და საპყრობილეებში

ქუთაისის სასჯელაღსრულების N2 დაწესებულებაში ამოქმედდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო DOTS პროგრამა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის მხარდაჭერით ახორციელებს. ქუთაისის ახალ საპყრობილეში აღნიშნული სპეციალიზებული სამკურნალო საკნების გახსნით საქართველოს პენიტენციური სისტემის DOTS-ის პროგრამით სრული უზრუნველყოფა დასრულდა. საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზის საწინააღმდეგო DOTS-ის პროგრამა 1998 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ფილტვების ტუბერკულოზის მკურნალობის ეფექტური კურსი 3000-მდე პატიმარმა და მსჯავრდებულმა გაიარა. დღეისათვის ანტიტუბერკულოზურ პროგრამაში 250-მდე პაციენტია ჩართული. ამავდროულად, იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება ბათუმისა და ზუგდიდის სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილების გარემონტების თაობაზე.

მედიანიუსი

უაქციზო სიგარეტის მორიგი პარტია

სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს დიდი რაოდენობით უაქციზო, რუსული წარმოების სიგარეტი, რომელიც გალის რაიონის ტერიტორიიდან შემოჰქონდათ. დაკავებულია სამი "რაფის" მარკის ავტომანქანა. ავტომანქანებში, დაახლოებით, 10 ათასი ლარის ღირებულების რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტი იყო გადამალული. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის განყოფილების უფროსის მოადგილე ლევან კაკავა აცხადებს, უაქციზო სიგარეტის მფლობელები ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვრამდე აფხაზური მილიციის წარმომადგენლებმა მიაცილეს. დაკავებულია სამი პიროვნება. მათ 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ინტერპრესნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. დააკავეს გლდანში მცხოვრები, 40 წლის დიმიტრი ჯავაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 9 მმ-იანი პისტოლეტი "კოლტი", რომელიც მიეკუთვნება ტიპურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. მისგან ამოიღეს, აგრეთვე, კუსტარული წესით დამზადებული 3 ვაზნა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დააკავეს მარნეულში მცხოვრები, 40 წლის ნაირა მაჭარაშვილი, რომელმაც სამსახურში მოსაწყობად 375 ლარი გამოსძალა დაბა ასპინძაში დროებით მცხოვრებ 35 წლის ბაკურ ბერიძეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს გორში მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 46 წლის შალვა ლოთიშვილი, რომლისგანაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ამოიღეს 0,054 გრამი ჰეროინი, ხოლო ბინიდან ამოიღეს არარეგისტრირებული სანადირო თოფი "ტოზ"-54 და მცირეკალიბრიანი შაშხანის 14 ვაზნა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დააკავეს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები, 33 წლის გელა მახნიაშვილი, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, გაქურდა თანასოფლელის რეზო ციხელაშვილის ბინა. **მედიანიუსი**

2006 წლის 13 თებერვალს გაზეთ "24 საათის №31-ში, შ.პ.ს. "თბილისის მეტროპოლიტენის" მიერ გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით "განცხადება ტენდერის შესახებ" შეტანილია შემდეგი ცვლილება:

მე-6 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

- კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის ზომა 31/1205 მდგომარეობით

სატენდერო კომისია.

რეფორმებს ვადები არ აქვს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მათი მოსაზრებით, ჩვენ მიერ მომზადებული კანონპროექტი ძალიან გულუხვი და ფართოა; რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათი რეკომენდაციაა, კანონპროექტმა უფრო ნაკლები სფეროები დაარეგულიროს. კანონპროექტის თანახმად, დაზარალებულებს ვთავაზობთ როგორც ქონებრივ რესტიტუციას, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას. ევროპელი ექსპერტების წინადადებაა, რომ მორალურ მხარეს შევეშვათ, რადგან ეს ძალიან ფართო სფეროა. ისინი გვირჩევენ, შემოვიფარგლოთ მხოლოდ ქონებრივი რესტიტუციით. ძირითადად, ევროპელი ექსპერტები კანონპროექტს მიესალმებიან და, რაც მთავარია, შენიშვნები, რომლებიც მათ აქვთ, ტექნიკური ხასიათისაა.

- თქვენ ჩაიბარეთ უწყება, სადაც რეფორმის ერთი ეტაპი უკვე გატარდა, ანუ ჩაიბარეთ გამსხვილებული სამინისტრო, რომელსაც უმნიშვნელოვანესი სფეროები გადაეცა სამართავად. თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასავლური ტიპის სამოქალაქო უწყებად ჩამოყალიბებისთვის ჯერ კიდევ სერიოზული სარეფორმო სამუშაოებია ჩასატარებელი. როგორია იუსტიციის ახალი მინისტრის სარეფორმო პროგრამა?

- მაქსიმალურად უნდა წარმოვაჩინოთ ყველა ის მიმართულება, რომლებზეც ვმუშაობთ. სამინისტრო მართლაც ძალიან დიდია - პასუხს აგებს ბევრ უსერიოზულეს მიმართულებაზე. მართალია, ყველა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ წინა პლანზე ყოველთვის იდგა პენიტენციური სისტემა და სააღსრულებო დეპარტამენტი. მაგრამ არის სფეროები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენი პრიორიტეტია, მოსახლეობას ინფორმაცია მივაწოდოთ ყველა მიმართულებაზე; გარდა ამისა, გამსხვილებულ სამინისტროშიც აუცილებლად მოინახება მოტივაცია საკადრო, ფინანსური და ინსტიტუციონალური ოპტიმიზაციისთვის.

დღეს სამინისტროს ძალიან ბევრი ფუნქცია აკისრია, რეალურად კი, ზოგიერთი მათგანის დაქვემდებარება ჩვენს უწყებასთან, შესაძლოა, საჭირო არც იყოს. მაგალითად, კავშირების და ფონდების რეგისტრაცია. არის კიდევ რამდენიმე სფერო, რომელიც არ უნდა შედიოდეს იუსტიციის სამინისტროში - ანუ მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს სამინისტროს ფუნქციების საბოლოოდ დალაგება. მან უნდა დაიტოვოს მხოლოდ ის, რაც მართლა იუსტიციის სამინისტროს პრეროგატივაა. ამას კი, ცხადია, მოჰყვება საკადრო და ფინანსური ოპტიმიზაცია.

- თქვენ ხელმძღვანელობთ პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილ სისხლის სამართლის რეფორმის სამუშაო ჯგუფს, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მათ შორის - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე, რომელიც, შვიდი წელია, მუშავდება და დღის სინათლე მაინც ვერ ნახა. არადა, დაპირებისამებრ, ახალი საპროცესო კოდექსი გასული წლის ბოლოს მზად უნდა ყოფილიყო. რა არის მიზეზი იმისა, რომ ამდენი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის - საპროცესო კოდექსის ახალი ვარიანტის მომზადება?

- ეს ისეთი საკითხია, რომელსაც შეიძლება უფრო მეტი დროც დაჭირდეს, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია და მგონი, ამაში ცუდი არაფერია. მინდა გითხრათ, რომ, როდესაც ქვეყანაში ხდება ტრანსფორმაცია, ანუ, ფაქტობრივად, ხდება ახალი საზოგადოებრივი მოწყობა, შვიდი-რვა წელი კონცეპტუალური სახის კანონების დასაწერად და შესაქმნელად ბევრი დრო არ არის. იმასაც გეტყვით, რომ არის ქვეყნები, სადაც იგივე სისხლის სამართლის კანონმდებლობას 25-30 წელი ამუშავებენ და ამაში ცუდი არაფერია. სხვა საკითხია, ხომ არ ხდება კოდექსის შექმის პროცესის დამუხრუჭება, ასე ვთქვათ, ტექნიკური ან პიროვნული მიზეზების გამო. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ჩვენი კონცეფცია და სამუშაო გეგმის პირველი მონახაზი მზად არის. მიმდინარე წლის 30 მაისს კი ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად დეტალურად უნდა შევიმუშაოთ სამუშაო გეგმა.

- იუსტიციის სამინისტროს მთავარი სახელმწიფო მრჩევლის სტატუსი აქვს და იგი კოორდინირებას უნდა უწევდეს კანონშემოქმედებას. არადა, ბოლო პერიოდში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი კანონის მიღება ამ უწყების გვერდის

გია ქავთარაძე

ავლით მოხდა. კანონების მუდმივი ცვლა, დუბლირება, სიტუაციის შესაბამისად დაუყოვნებლივ ახალი კანონის გამოცემა, დამეთანხმებით, ქვეყნის სამართლებრივ წონასწორობას არღვევს. საინტერესოა, მოახერხებთ თუ არა კანონშემოქმედებაში არსებული ქაოსის დალაგებას? მით უმეტეს, რომ ეს თქვენი ძირითადი ვალდებულებაა.

- მინდა გითხრათ, რომ ყველა შემთხვევაში, კანონპროექტები ჩვენთან გადის ვიზირებას. თუმცა, იმაშიც გეთანხმებით, რომ იუსტიციის სამინისტრო კანონპროექტების დამტკიცებისას ხშირად მხოლოდ შენიშვნებით შემოიფარგლება. არადა, სამართლებრივი მრჩეველი კანონშემოქმედებითი მუშაობის კოორდინაციას, სტრატეგიის დაგეგმვას უნდა ახდენდეს; მეტიც, ძალიან ხშირ შემთხვევაში, კანონი უნდა შეიმუშაოს იუსტიციის სამინისტრომ. ძალიან ბევრ ქვეყანაში ასეც ხდება, მაგრამ ამის მიღწევას სჭირდება სტაბილურობა, წლები და ეს დროც მალე მოვა. ჩემი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ეს არის. სამინისტრო რეალურად უნდა იქცეს სახელმწიფოს სამართლებრივ მრჩევლად. გამორიცხულია, მთავრობაში კანონების მიღება ჩვენი გვერდის ავლით ხდებოდეს.

- დაბოლოს, პენიტენციური სისტემა, რომელიც სერიოზულად დასალაგებელია. თუ არ ჩავთვლით ქუთაისის საპყრობილის აშენებას და ე.წ ქურდული სამყაროს რამდენიმე წარმომადგენლის იზოლაციას, ამ სისტემაში მასშტაბური რეფორმა, ფაქტობრივად, არც დაწყებულა. სარეფორმო ჯგუფი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, პენიტენციური სისტემის რეფორმის სტრატეგიაზეც მუშაობს. რა ხდება ახლა პენიტენციურ სისტემაში?

- მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პენიტენციური სისტემა, ას წელზე მეტია, რაღაც გაურკვეველი მეთოდით იმართებოდა. ახლა სახელმწიფოს ინტერესშია, მართვა ცივილიზებულად ხდებოდეს. მიზეზი, რომელიც ამ სისტემაში ქაოსს იწვევს, სწორედ ამ ორი - ძველი და ახალი სისტემის ერთმანეთთან დაპირისპირებაა. ამას ემატება მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო პრობლემები. სერიოზული პრობლემაა დაბალი ხელფასები, მოუწყობელი ციხეები. ჩვენ მიერ შემუშავებული რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს მატერიულ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, საკადრო ოპტიმიზაციას და ხელფასების გაზრდას, კადრების მომზადებას, ევროსტანდარტების დონის ახალი საპყრობილეების მშენებლობას, ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამომძიება მალე დასრულდეს და ადამიანები საპატიმროში დიდხანს არ იმყოფებოდნენ, ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას. კონცეფცია სხვა მნიშვნელოვან დეტალებსაც მოიცავს და მას ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ.

- თუ თქვენი წინამორბედები ნაწილობრივ მაინც ახერხებდნენ პანიტენციური სისტემის კონტროლს, ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების სისტემას, იუსტიციის მინისტრისგან სრულიად დამოუკიდებლად მართავს ახალი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია - ანუ, ამბობენ, რომ პენიტენციურ სისტემას, ციხეებს, იუსტიციის კი არა, ძველებურად შინაგან საქმეთა სამინიტრო აკონტროლებს.

- იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემა ვერ ჩამოერთმევა. ეს გამორიცხულია! თუმცა, ამ სისტემის ყოველდღიური მართვა სამინისტროს საქმე არ არის. სამინისტროს საქმე პოლიტიკის განსაზღვრა, ფინანსური საკითხების დარეგულირება, ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის შექმნა, მთლიანი სისტემის კონტროლია. ყოველ კონკრეტულ სფეროს თავისი პატრონი უნდა ჰყავდეს. საჯაროს - თავისი, სამოქალაქოს - თავისი და პენიტენციურს - თავისი. თითოეულ სფეროს კი, მთლიანობაში, რასაკვირველია, გააკონტროლებს იუსტიციის სამინისტრო.

ბაჩო ახალაიამ უნდა გააკონტროლოს და აკონტროლებს კიდეც პენიტენციურ სისტემას. ამიტომაც დაინიშნა იგი დეპარტამენტის ხელმძღვანელად და სწორედ ისაა პასუხისმგებელი პენიტენციური სისტემის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ბანდის ლიდერი - პოლიციის ყოფილი ჩინოსანი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შუამდგომლობის სამოტივაციო ნაწილში კი ადვოკატი მათ უდანაშაულობაზე და მტკიცებულებების არარსებობაზე საუბრობდა. მაგრამ, მოსამართლისთვის უფრო დამაჯერებელი პროკურორის, ვაჟა მაღრაძის მტკიცება აღმოჩნდა, რომლის თანახმადაც, ადვოკატის შუამდგომლობა უსაფუძვლოა, აღმკვეთი ღონისძიებაც სწორად არის შეფარდებული და ყველა მტკიცებულებაც არსებობს საიმისოდ, რომ ბრალდებულები პასუხისგებაში მისცენ. ამის შემდეგ მოსამართლეს სხვა ბრალდებულის გოჩა ნაზღაიძის ადვოკატმა დავით ნიშნიანიძემ მიმართა და ვრცლად განუმარტა, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში ადგილი ჰქონდა საპროცესო ნორმების დარღვევას; მეტიც, მისი თქმით, ადგილი ჰქონდა არამარტო კანონის შესაბამისი მუხლების, არამედ კონსტიტუციის უხეშ დარღვევასაც.

ადვოკატის არგუმენტები არც ამ შემთხვევაში გაიზიარა პროკურორმა და წინასწარი გამოძიების პროცესში დარღვევების ბრალდებას უსაფუძვლო უწოდა, რის შემდეგაც მოსამართლემ პროცესის 20 თებერვლამდე გადადების შესახებ გადაწყვეტილება გაახმოვანა.

საგულისხმოა, რომ სასამართლო პროცესის დაწყებას წინ სერიოზული ხმაური უძღოდა. დარბაზში დაზარალებულების და ბრალდებულების ახლობლების შეხვედრა ხმაურსა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ბრალდებულების ახლობლებს არც ჟურნალისტების გამოჩენაზე ჰქონდათ უკეთესი რეაქცია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მდგომარეობის განმუხტვა მოხერხდა. თუმცა, იმის გამო, რომ სასამართლოს მცირე ზომის დარბაზი დაინტერესებულ ადამიანებს ვერ იტევდა და ბრალდებულთა ახლობლები დარბაზში შესვლას ვერ ახერხებდნენ, ხმაური განახლდა და მოსამართლე იძულებული გახდა დაწყებული პროცესი რამდენიმე წუთით შეეწყვიტა.

24 საათი

United Nations Development Programme
UNDP Georgia

გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი პროექტის "საქართველოს კონტროლის პალატის დახმარება" ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს დიზაინერული, საპროექტო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად და სპეციალური ავეჯისა და მოწყობილობების მისაწოდებლად.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ან ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

1. ქ.თბილისი, ერისთავის ქ. № 9, გაეროს სახლი, ოფისი 112 (საკონტაქტო პირი: პროექტის აღმასრულებელი კოორდინატორი, ქ-ნი მანანა სალუქვაძე, ტელ: 253203)
2. http://www.undp.org.ge/news/tenders.html
3. http://www.conrol.ge

გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი აცხადებს ღია ტენდერს გრძელვადიანი ხელშეკრულებების დასადებად ინტერნეტ სერვისების მოწოდებისათვის.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ან ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

1. ქ.თბილისი, ერისთავის ქ. № 9, გაეროს სახლი, ოფისი 112 (საკონტაქტო პირი: პროექტის აღმასრულებელი კოორდინატორი, ქ-ნი მანანა სალუქვაძე, ტელ: 253203)
2. http://www.undp.org.ge/news/tenders.html

DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN
seco Staatssekretariat für Wirtschaft / Secrétariat d'Etat à l'économie / Segretariato di Stato dell'economia / State Secretariat for Economic Affairs

SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS
Embassy of Switzerland

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".

კურსი ჩატარდება 2006 წლის 29 აპრილიდან 13 მაისამდე ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 21 მარტი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

http://www.cabir.org/news.htm

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის კოორდინატორს ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტში, ბატონ ალი არბიას ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და წაიღებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსასლები არ განიხილება).

ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲛᲐ ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲣᲞᲝᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲜᲘᲨᲜᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ:

1. ზუგდიდის საფეხბურთო "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. ზუგდიდის საფეხბურთო "მარგანეშული";
3. ზუგდიდის საფეხბურთო "თავისუფლების მოედანი";
4. ზუგდიდის საფეხბურთო "წერეთელი";
5. ზუგდიდის საფეხბურთო "სამეული III";
6. ზუგდიდის საფეხბურთო "კარსელიანი";
7. ზუგდიდის საფეხბურთო "გოცირიძე II";
(ყოფილი ზუგდიდის საფეხბურთო "დელტინი");
8. ზუგდიდის საფეხბურთო "ვაშლიის მოედანი II";
9. ზუგდიდის საფეხბურთო "დადუმე";
10. ფოტოსტუდია 45 "სოფელშვილის" შენობის ხელა სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფურცელი ტელეფონით 34-76-58 ან ოფისში, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ოსკარ უაილდის აფორიზმებიდან ყველაზე მეტად ეს მიყვარს: "**ყველა ცუდი პოეზია გულწრფელია**". არა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო გამოსვლაში წაკითხულ **კაკალაშვილის** ლექსებს არ ვგულისხმობ, თუმცა აქაც მართლდება ხსენებული აფორიზმი. რას ვგულისხმობ, ეს მოგვიანებით გამოჩნდება. ჯერ კი ერთი ამბავი უნდა მოგითხროთ...

რამდენიმე დღის წინ, საღამოს, ჩემი ტელევიზორი საზოგადოებრივ არხზე აღმოჩნდა ჩართული. ალბათ იმიტომ, რომ ფიგურულ სრიალს ელოდებოდნენ. მანამდე კი "მთავარი" გადიოდა, "მოამბის" სამართალმემკვიდრე. გამოშვების ბოლოსკენ ერთი სიუჟეტი აჩვენეს: ჰომოსექსუალთა ქორწინება მექსიკაში. როცა სიუჟეტი დასრულდა, წამყვანმა წარბშეუხრელად წარმოთქვა: "რა კარგია, რომ ამ ქვეყანათა სიაში საქართველო არაა". მას იქვე მჯდომი სპორტული კომენტატორი გამოეხმაურა, თუმცა კი მისი საქმე სულაც არ იყო ამგვარი განცხადება: "გეთანხმები, რა ამაზრზენია ეს ყველაფერი". არა, ახლა იმაზე საუბარს სულაც არ ვაპირებ, რომ საზოგადოებრივი არხი არ უნდა იყოს შეუწყნარებლობის და, კერძოდ, ჰომოფობიის საქადაგებელი ადგილი. უჩემოდაც ბევრია, ვისაც ამის შემჩნევა და ამაზე ხმის ამაღლება ევალება. კიდევ უფრო რომ მივუახლოვდეთ სათქმელს, ერთი ციტატა უნდა მოვიყვანო თანამედროვე რუსი მწერლის, **ვიქტორ პელევინის** რომანიდან "მაქციას საკრალური წიგნი":

"**რუსი მამაკაცების უმრავლესობას ჰომოფობია იმის გამო სჭირს, რომ რუსულ გონებაში ძალიან ძლიერია კრიმინალური ღირსების კოდექსის მეტასტაზები. ყოველი სერიოზული ადამიანი, რასაც არ უნდა საქმიანობდეს, ქვეცნობიერად ეზომება საპყრობილეს და ცდილობს, რომ მის საქციელში არ იყოს ციხის ტაბუების შესამჩნევი დარღვევა, რისთვისაც ანგარიშგება საკუთარი უკანალით მოუწევს. ამიტომაც რუსი მაჩოს ცხოვრება პერმანენტულ სპირიტისტულ სეანსს ჰგავს: სანამ ხორცი ფუფუნებაში ნებივრობს, სული ზონაზე ითვლის სროკს**".

იგივე შეიძლება ითქვას ქართველი მაჩოების შესახებაც. აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ გაგიგონიათ ასეთი წინადადება: "მაგათ ისეთი რამ გააკეთეს, ციხეში არ გაახარებენ, აუცილებლად დააჩმორებენ". რას ნიშნავს ეს წინადადება? — ამის მთქმელს ციხე უზენაესი სტიქიური სამართლის აღსრულების ადგილად მიაჩნია. ოღონდ ეს სამართალი არაა სახელმწიფოს დაწერილი კანონი — დაწერილი კანონი უცხო და მტრული რამაა, ციხე კი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ეს დაწერილი კანონი პარადოქსულად უძლურია: ვინ დაგიჭერს, თუ უკვე დაჭერილი ხარ. ჰოდა, სრულდება ქართველის გონებით აღიარებული ერთადერთი ჭეშმარიტი სამართალი — ის, რომელსაც სტიქიურად ადგენენ და "ასრულებენ" კრიმინალები.

აბა, გაგიგონიათ ოდესმე, რომელიმე ტელეწამყვანი აღშფოთებულიყო, მაგალითად, ადამიანის გამტაცებლის, ან ყაჩაღის, ან ნარკოდილერის თავხედობითა და უტიფრობით, რისი ნახვა საქართველოს ტელევიზიით გაცილებით უფრო ხშირად შეიძლება, ვიდრე მექსიკელ ჰომოსექსუალთა ქორწილისა? არა, მექსიკელი გეების გაკიცხვა უფრო საპატიოა, მით უმეტეს, რომ რისკი სწორედ რომ ნულოვანია (ნეტა შემიძლია ასე თქმა? — ჯანდაბას, ყველა სიტყვაზე ხომ ლათინურ ლექსიკონში არ ჩავიხედავ!). თანაც ჩვენი შინგაზრდილი ჰომოფობები ამით კვლავაც კრიმინალური ღირსების კოდექსს, ანუ, ჩვენებურად, შავ გაგებას ემხრობიან: ისინი ხომ "პეტუხებსა" და "ჩმორებს" კიცხავენ. თუმცა აქაც ვითარება არანაკლებ პარადოქსულია, რადგან სინამდვილე მნიშვნელოვნად განსხვავდება მასზე არსებული წარმოდგენებისგან. აი, თუნდაც კიდევ ერთ რუს მწერალს, ვარლამ შალამოვს მოვუსმინოთ. ამან კი ნამდვილად იცის, რაზეც ლაპარაკობს — არა ერთი და ორი წელი გაუტარებია სტალინურ ლაგერში:

"**ქურდები ყველანი პედერასტები არიან. ზონაზე ყოველი გამოჩენილი ქურდის გარშემო ირევიან დასიებულ და დაბინდულთვალებიანი ბიჭუნები: "ზოიკები", "მანკები", "ვერკები" — რომლებსაც ქურდი აჭმევს და რომლებთანაც სძინავს. ლაგერის ერთ განყოფილებაში (სადაც ნაკლები შიმშილი იყო) ქურდებმა ძუკნა ძაღლი მიიჩვიეს და გარყვნეს. პურს აძლევდნენ, ეფერებოდნენ, მერე კი ეძინათ მასთან, როგორც ქალთან, მთელი ბარაკის თვალწინ**".

როგორც ვხედავთ, ჩვენი მაჩოების მორალური კოდექსი ორმაგი სტანდარტითა დახიბრებული და მისი ამომწურავი განსაზღვრება შეიძლება ვიპოვოთ **აკა მორჩილაძის** რომანში "გადაფრენა მადათოვზე და უკან": "**ხომ არ უშვრებიან, თვითონ უშვრება!**". აი, ასეთი ნაღრძობი, მანკიერი მორალით ცხოვრობს ჩვენი საზოგადოება და ეს მანკი მკაფიოდ გამომჟღავნდა პოლიტიკური ოპოზიციის იმ რეაქციაში, რომელიც **მიხეილ სააკაშვილის** საპარლამენტო სიტყვას მოჰყვა...

გამოგიტყდებით, მე ყოველთვის პოეზიის მხარეზე ვარ და არა გულწრფელობისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი ცუდი კრიტიკა მოვისმინე, რომ დაფიქრება ვარჩიე: იქნებ ეს კრიტიკა კიდევ უფრო დიდი უბედურების ნიშანია, ვიდრე პრეზიდენტის მოუმზადებელი გამოსვლა? ვითარება იმის მსგავსია, რაც წეღან აღვწერეთ: აქაც ჰეტეროსექსუალთა წმინდათაწმინდა რისხვას გაცილებით უფრო ბინძური და საზოგადოებრივად საშიში ფესვები აქვს, ვიდრე შეიძლება ჰქონდეს ჰომოსექსუალიზმს როგორც ასეთს. ყველაფერს ხომ კონტექსტი განსაზღვრავს...

განვიხილოთ ცუდი კრიტიკა და ყველაზე უფრო ზედაპირული თვისებებით დავიწყოთ. თანდათანობით გამოჩნდება უფრო ღრმა შრეებიც.

მაშ ასე, ყველაზე უფრო ზედაპირული თვისება იყო ის, რაც ყოფით მეტყველებაში "სიტყვებზე გამოკიდება" ჰქვია. მაგალითად, დაიწუნეს გამოთქმა "ნულოვანი ტოლერანტობა". მართალია, რომ სიტყვას "ტოლერანტობა" ლათინური ფესვი აქვს, რომელიც აწევას ნიშნავს. მაგრამ თანამედროვე ევროპულ ენებში ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ერთი მათგანი შემდეგია: "წინასწარ განსაზღვრული პირობებიდან **რაიმე ზომით** გადახრის მოთმენა". ასეა ინგლისური ენის ვებსტერისა და იტალიური ენის დევოტო-ოლის განმარტებით ლექსიკონებში (სხვა ხელთ არ მქონდა, მაგრამ სააკაშვილის თეზაურუსს თუ გავითვალისწინებთ, საკმარისზე მეტია). რას გულისხმობს ეს მნიშვნელობა და რატომ გამოვყავი სიტყვები "რაიმე ზომით"? — მაგალითად, თუ დათქმულ დროს ხუთი წუთით გადააჭარბეთ და მიკროფონი არ გაგითიშეს, ეს ნიშნავს, რომ მოქმედებს "ხუთწუთიანი ტოლერანტობა". თუ აეროპორტში ოცთაერთი კილოგრამი ტვირთი წარადგინეთ და არ მოგთხოვეს გადახდა (დამიჯერეთ, ევროპიდან საქართველოში ოცდასამი კილოც გამიტარებია უფასოდ და მეტიც), ესე იგი "ერთკილოგრამიანი ტოლერანტობა" მოქმედებს. ხოლო ის, რაც გაზომვადია, შეიძლება ნულოვანიც იყოს. ასე რომ, სააკაშვილის ნახსენები "ნულოვანი ტოლერანტობა" სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კანონით დადგენილი ნორმის ზუსტ და განუხრელ დაცვას. სიტყვის ეს მნიშვნელობა განპირობებული იყო იმ ენებით, რომლებზედაც მიუღია განათლება საქართველოს პრეზიდენტს და თუ აქაურ ყოფაშიც დამკვიდრდება "ტოლერანტობის" ამგვარი გაგება, ეს მხოლოდ გამიდიდრებს ჩვენს ლექსიკონსა და მენტალობას.

მაგრამ როდესაც კრიტიკა ამგვარ სამიზნეებს ისახავს, ეს უკვე კრიტიკის პრობლემაა და არა მისი ობიექტისა. მით უმეტეს, როცა "ნულოვანი ტოლერანტობა", ანუ, როგორც ვთქვით, კანონის პედანტური დაცვის მოთხოვნა ვიღაცებს არა ლინგვისტური ექსკურსებისკენ უბიძგებს, არამედ ისტერიული კივილისკენ: ტერორი! ტერორი! ნეტა როდიდანაა კანონის შესრულების მოთხოვნა ტერორის ტოლფასი? სააკაშვილმა თქვა, კანონპროექტი შემომაქვსო — თუ არ ეთანხმები, აზრის გამოთქმის საშუალებაც გექნება, მით უმეტეს, საპარლამენტო ოპოზიცია გქვია. მაგრამ თუ რეალურად ფიქრობ, რომ შესაძლებელია ოდესმე ისეთ ვითარებაში აღმოჩნდე, სადაც საკუთარი უკანალის ბედი უკვე მთლად ცხადი არ იქნება, აქ კი ერთადერთი გამოსავალი ისტერიული კივილია — ხომ გახსოვთ, აბანოში დაჭერილი "წრიპა" რომ კიოდა, აი, ისეთი.

ამის შემდეგ კრიტიკა პრეზიდენტის ლიტერატურულ კომპეტენციას შეეხო. მართლაც არაა მოსაწონი, როცა შოთა რუსთაველი და გრიგოლ ორბელიანი გერევა ერთმანეთში. მაგრამ მე ამაში ორ გარემოებას ვხედავ.

ჯერ ერთი, საქართველოში მშობლიურ ლიტერატურას ისე ასწავლიან, რომ ადამიანმა ზუსტად უნდა იცოდეს: სიტყვები "მიეცით ნიჭსა გზა ფართო" არ არის "ვეფხისტყაოსანში". თუ ზუსტად არ იცის, ვერ იგრძნობს. მე მინახავს რუსი ბავშვები, რომლებიც მხოლოდ ლექსიკის ან თემატიკის საფუძველზე ადგენენ, რომ ესა თუ ის ფრაგმენტი შეიძლება ეკუთვნოდეს ლომონოსოვს, მაგრამ არა პუშკინს, იყოს ბლოკისა, მაგრამ არა ესენინის. ამზადებს თუ არა კომპეტენციის ამ დონისათვის მოსწავლეებს ქართული სკოლა? — არა! ამას ჩემზე ადრე ისინი გაჰკიოდნენ, ვინც დღეს ამტკიცებს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერისაგან "ვეფხისტყაოსნის" არცოდნა ტრაგედიააო. მაგრამ დრო შეიცვალა, პოლიტიკური წარმატების ნამცეცი იგემეს და ახლა სხვანაირად ჭიკჭიკებენ.

ახლა კი მეორე გარემოებაც: თუ სხვა გამოსავალი არაა, მირჩევნია ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა და ქვეყნის პრეზიდენტმა სულ არ იცოდეს "ვეფხისტყაოსანი", ვიდრე დღენიადაგ პირზე ეკეროს "ჩვენი დიადი წარსული", "ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობა" და სხვა კიდევ მრავალი. მით უმეტეს, რომ ამ გაცვეთილი შტამპებით მეტყველების დამძიმება სულაც არ ნიშნავს, რომ რაღაც იცი...

ცოდნაზე კი ამას მოგახსენებთ: ამბობენ, **იოსებ სტალინმა** მართლა კარგად იცოდა "ვეფხისტყაოსანი", **ადოლფ ჰიტლერმა** კი — ვაგნერის ოპერები. განვაგრძო, თუ ისედაც გასაგებია?..

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მე სააკაშვილის სიტყვას ვიცავდე უსამართლო საყვედურებისაგან. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მე საყვედურების არარსებობა მაწუხებს — რეალური, არსებითი საყვედურებისა. ჯერ-ჯერობით დასკვნა შემდეგია: ოპოზიციას არ სურს პრეზიდენტთან კამათი.

ახლა კი გავამყაროთ ეს დასკვნა. ამისთვის გამოგვადგება ერთი შენიშვნა, რომელიც ასევე ხშირად ჟღერდა ბოლო დღეებში: პრეზიდენტს არ უსაუბრია ინსტიტუციებზე. კიდევ ერთხელ მოვისმინოთ ეს მესიჯი: პრეზიდენტს არ უსაუბრია ინსტიტუციებზე — წერტილი. მესიჯი დამთავრდა. არის თუ არა ეს დისკუსია? არის თუ არა ეს კამათი?

დავსვათ შეკითხვა: მიმდინარეობს თუ არა საქართველოში დისკუსია ინსტიტუციების გარშემო? ყველაზე ადეკვატური პასუხი იეზუიტური იქნება: ჰო და არა. ჰო იმიტომ, რომ პარლამენტსა და მედიაში მეტ-ნაკლებად ამოქმედებული თემატიკა ირიბად ეხება ინსტიტუციების საკითხს. არა იმიტომ, რომ ლაპარაკი მართლაც ძალიან ირიბია: მაგალითად, სასამართლოზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ მოსამართლეებზე, კანონის უზენაესობაზე კი არ საუბრობენ, არამედ **ბექაურზე**. "ცხელი" თემები მცირე ხანს ცოცხლობენ საზოგადოებრივ მეხსიერებაში, მერე კი სადღაც უკვალოდ აორთქლდებიან ხოლმე და მათ ადგილს სხვა "ნიუსები" იკავებს. პასუხი არასოდეს არავის აინტერესებს. გახსოვთ, ვარდების რევოლუციის წინ "რუსთავი-2"-მა რომ გამოაცხადა, **ედუარდ შევარდნაძემ** გერმანიაში ფეშენებელური ვილა შეიძინაო? გამოსახულებაც გვიჩვენეს. მაგრამ გადადგა შევარდნაძე და პრობლემაც ამოიწურა — არც ვილა და არც მასთან დაკავშირებული კანონის შესაძლო დარღვევა აღარავის აინტერესებს. აი, ჩვენი საზოგადოებრივი მოთხოვნილების დონე.

იმისათვის, რომ ინსტიტუციებზე საუბარი იყოს შესაძლებელი, ვიღაც რეალურად უნდა ზრუნავდეს საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებაზე. დღეს ეს შეგნება წარმოადგენს უსისტემო ნარევს, დომხალს, რომელშიც სხვადასხვა პროპორციებით ვპოულობთ ყოფითი მართლმადიდებლობის, შავი გაგების, ისტორიულ-ლიტერატურული მითოლოგიისა და ტლანქი ბუნებრივი მოთხოვნილებების ელემენტებს — თანაც ეს ყველაფერი ერთ ცალკე აღებულ ტვინში ეტევა. ამგვარი ტვინების მთელი რაოდენობა კი ელექტორატს შეადგენს. სახალხო შეგნების ასეთი მდგომარეობა ყველას აკმაყოფილებს — ნაციონალებსაც და მათ ოპონენტებსაც. აკი დაამტკიცა ამ უკანასკნელთა რეაქციამ პრეზიდენტის სიტყვაზე, რომ მათ სადავოც არაფერი ჰქონიათ.

ესაა ჩვენი მთავარი უბედურება და მასში ყველას ერთნაირად მიგვიძღვის ბრალი. ადვილია უსაყვედურო ადამიანს, რომლის გარემოცვაში ოციოდე გვერდის დამწერი და გამსწორებელი ვერ მოიძებნა. გაცილებით უფრო ძნელია, უარი თქვა იმაზე, რომ ამომრჩეველთა სიბრიყვესა და უგანაჩენობას არ გაუწიო ანგარიში და არ შეგეშინდეს ვიღაც ერთუჯრედიანი ნაძირალებისა, რომლებიც შენს ამომრჩევლებს კერპებად დაუსახავთ.

ჯერ იმას ვწუხდი, რომ საქართველოს პრეზიდენტს იდიოტებად მივაჩნივართ, მაგრამ მალევე დავინახე, რომ ამის საფუძველი ჰქონია. ახლა უკვე იმას ვწუხვარ, რომ ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში არავითარი დისკუსია არ არსებობს...

ვინ დგას გიგა ბედინეიშვილის უკან - ვის აძლევს ხელს "ფეროში" საწარმოო პროცესის შეფერხება?

"ფეროში" მასობრივი საპროტესტო აქციები გრძელდება - მშრომელები გიგა ბედინეიშვილს საწარმოში არ უშვებენ

მაია ტაბატაძე

გუშინ შუადღისას, შიმშილობის მეხუთე დღეს სს "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" მოშიმშილე აქციონერ-თანამშრომელთაგან ერთ-ერთი მათგანის - რეზო ფურჩხვანიძის მდგომარეობა ძალიან გართულდა და ის სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი შპს "ფერომედში" - "ფეროსთან" არსებულ სამედიცინო ცენტრში. იგი ინტენსიური თერაპიის პალატაში მოათავსეს. "პაციენტი მეხუთე დღეა შიმშილობს დამისი მდგომარეობა რთულია, მას აღენიშნება სისუსტე, ოფლიანობა, აქვს დაბალი წნევა, მწვავე ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში. ვუტარებთ შესაფერის მკურნალობას - დავიწყეთ გადასხმები," - გვითხრა მორიგე ექიმმა გია უგრეხელიძემ.

მოშიმშილეთა აქციის პარალელურად, "ფეროშენადნობთა ქარხნის" ადმინისტრაციულ კორპუსთან გუშინ დილით მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყო. აქციის მონაწილე მუშა-მოსამსახურეები აცხადებენ, რომ ავსტრიული კომპანიის "დიესემ დეკომეტალის" წარმომადგენელს გიგა ბედინეიშვილს საწარმოში არ უშუშვებენ. აქცია მალე დაიშალა, თუმცა მოგვიანებით აქცია ისევ გაგრძელდა, რადგანაც, მონაწილეთა განცხადებით, ბედინეიშვილი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შეიარაღებულ თანამშრომლებთან ერთად კვლავ აპირებდა ქარხანაში შესვლას.

"დღეს (20 თებერვალი - მ.ტ) "ფეროს" ადმინისტრაციული კორპუსის წინ საპროტესტო აქცია დაიწყო. გიგა ბედინეიშვილი სპეცრაზმთან - ე.წ. სოდთან ერთად მოვიდა, მაგრამ ამდენი ხალხი რომ დაინახა, უკან გაბრუნდა, ხალხი რომ დაიშალა, სპეცრაზმმა ისევ დააპირა ბედინეიშვილის ქარხანაში შემოყვანა, თუმცა აქცია ისევ განახლდა და მშრომელებმა იგი ქარხანაში არ შეუშვეს. ბედინეიშვილს არავითარი იურიდიული სტატუსი არ გააჩნია. იგი აცხადებს, რომ ავსტრიული კომპანიის "დიესემ დეკომეტალის" წარმომადგენელია, მაგრამ ეს კომპანია გასული წლის მაისიდან "ფეროს" არც ერთი აქციის მფლობელი აღარ არის. ბედინეიშვილს ქარხანაში არ შევუშვებთ, დაწესებულია მორიგეობა. ერთადერთი გზაა, იგი სპეცნაზის საშუალებით შემოიყვანონ, თუმცა ამას ტელეკამერების წინ არ აკეთებენ, ვერ აკეთებენ," - გვითხრა **"ფეროს" გენერალური დირექტორის თანაშემწემ გიორგი ჯანდიერმა.**

"ფეროში" სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა გასულ კვირაში, როცა 14 თებერვალს გიგა ბედინეიშვილი, სოდის შეიარაღებული თანამშრომლების თანხლებით, ქარხნის ადმინისტრაციულ კორპუსში შევიდა, გენერალური დირექტორის დალუქული კაბინეტი დაიკავა და კოლექტივს თავი საწარმოს ახალ ხელმძღვანელად გააცნო. თუმცა, შემდეგ მან განაცხადა, რომ ავსტრიული კომპანიის "დიესემ დეკომეტალის" ოფიციალური წარმომადგენელია. ამან "ფეროში" დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შაბათს (18 თებერვალს) გიგა ბედინეიშვილმა სასტუმრო "თბილისი მერიოტში" პრესკონფერენცია გამართა და ქარხნის ხელმძღვანელობა 2004-2005 წელს "ფეროს" ხელოვნურად გაკოტრების მცდელობაში დაადანაშაულა (აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში "ფეროს" მფლობელი სწორედ "დიესემი" იყო, რომელმაც, როგორც "ფეროს" ადვოკატი გიგა კვერენჩხილაძე აცხადებს, თავისი აქციები 2005 წლის მაისში მთლიანად მიჰყიდა კომპანია "სელრომექსს". ეს უკანასკნელი ამა წლის 15 თებერვლამდე სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" აქციების 96,3 პროცენტის მფლობელი იყო). როგორც შაბათსვე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა გიგა კვერენჩხილაძემ, 15 თებერვლიდან "ფეროს" ახალი მფლობელი ჰყავს- დიდი ბრიტანეთის ცნობილი კომპანია "სტემკორი", რომელმაც "სელრომექსი" იყიდა. კვერენჩხილაძემ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ნოტარიული წესით დამტკიცებული საწარმოს ახალი მენეჯმენტი წარუდგინა და განაცხადა, რომ "სტემკორის" ხელმძღვანელობამ უკვე დაითხოვა ძველი სამეთვალყურეო საბჭო და ახალი წარადგინა.

"სტემკორი" ახლა საწარმოს აქციების 96 პროცენტის მფლობელია. მისი წარმომადგენელი უახლოეს დღეებში ჩამოვა საქართველოში და შესაბამის განცხადებას გააკეთებს. გიგა ბედინეიშვილს კი "ფეროში" შესვლის არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია." - განაცხადა გიგა კვერენჩხილაძემ.

"პროკრედიტ ბანკი" აცხადებს ტედერს კატერინგის სერვისზე სათაო ოფისისათვის.

ტენდერის პირობები შემდეგია:

მომსახურების დღეები: ყოველ დღე შაბათ კვირის გარდა შუადღის 12:30 დან 2:00 საათამდე. ყოველდღიურად მომსახურებას მიიღებს საშუალოდ 100 ადამიანი.

სასურველია კვირის მენიუ შედგებოდეს:

1. 3 სახის წვნიანისაგან
2. 10 სახის ცხელი კერძისაგან
3. 6 სახის ცომეულისაგან
4. სალათები (სეზონურობის მიხედვით)
5. ნამცხვარი და ტკბილეული
6. ნატურალური და გაზიანი გამაგრილებელი სასმელები
7. ხილი

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც ამ მომსახურებით დაკავებული არიან მინიმუმ 2 წლის განმავლობაში.

გთხოვთ თქვენი პირობები წარმოადგინოთ პორციის გრამობრივი აღრიცხვით.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ გიორგი ქომეთიანს: 899 72 72 08

შვილები ვასილი, ირაკლი, რძლები ნანა მოისწრაფიშვილი, ირინე გაფრინდაშვილი, შვილიშვილები, გიორგი, ლევანი, ირაკლი, ნინო, სოფო, ნატო, ივანე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ზაქარიას ასული თურქიშვილი-თევდორაშვილი

პანაშვიდი: 21-22 თებერვალს, 17.00 სთ

გამოსვენება ხუთშაბათს, 23 თებერვალს 15.00 სთ-ზე.

მის: მიჩურინის ქუჩა 15 (დამწვრობის ცენტრის ზემოთ)

institute for war and peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით კითხვები ისევ რჩება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის საიდუმლოებით მოცული დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ ოფიციალურ გამოძიებას ყველა კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ არ გაუცია.

ვახტანგ კომახიძე,
თბილისი

საბურთალოს ქუჩაზე მდებარე შენობასთან, სადაც გასული წლის 3 თებერვლის დილის საათებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის რაულ უსუპოვის ცხედრები იპოვეს, პოლიცია ჯერ კიდევ მორიგეობს.

ამ კორპუსში მცხოვრები გოგონა ამბობს, რომ პოლიციელები იქაურობას არ ტოვებენ. მისი თქმით, ხშირად ისინი ღამეს იქვე მდგარ „07“ მარკის ჟიგულიში ათევენ.

საუბარი იმის შესახებ, რაც იმ ღამეს დაინახეს ან გაიგონეს, არც ერთ მეზობელს არ სურს. ჟურნალისტების კითხვების პასუხად მათი უმრავლესობა უბრალოდ კარს ხურავს. ამ თემაზე საუბარი არც მორიგე პოლიციელებს სურთ.

ხელისუფლებას ჟვანიას დაღუპვის გარემოებებთან დაკავშირებით გამოძიება ჯერ კიდევ არ დაუსრულებია, რაც სიტუაციას კიდევ უფრო საიდუმლოებით მოცულს ხდის.

„არაოფიციალური“ წინასწარი ვერსია, რომელიც ხელისუფლებამ ჟვანიას დაღუპვიდან რამდენიმე საათში გააჟღერა, კვლავ უცვლელი რჩება – ბინაში დაზიანებული გაზის გამათბობლიდან გამონაბოლქვი მომწამლავი აირი დაგროვდა და ჟვანიასა და უსუპოვის დაღუპვა გამოიწვია.

ზამთარში გაზით მოწამვლის შემთხვევები საქართველოში საკმაოდ ხშირია.

და მაინც, რაც უფრო ჭიანურდება გამოძიება, საზოგადოებაში სულ უფრო ვრცელდება ასევე „არაოფიციალური“ ვერსია. ბევრი ვარაუდობს, რომ ჟვანია მოკლეს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ახლო ნათესავები დარწმუნებული არიან, ჟვანია მოკლეს. ამის შესახებ ისინი ღიად აცხადებენ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის მეუღლე და ძმა ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ტყუის და გაზით მოწამვლის ვერსია აშკარად შეთხზულია. ისინი კონკრეტულ სამხილს არ ასახელებენ, მაგრამ ჟვანიას მკვლელობის ორგანიზება უცნობმა პოლიტიკურმა მეტოქეებმა მოახდინეს.

ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები ამ ბრალდებებს უარყოფენ.

„დარწმუნებული ვარ, ჟვანია გაზით მოწამვლით, უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა“, – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ.

პრემიერ-მინისტრის დაღუპვის შესახებ გამოაგზებელმა ცნობამ თებერვლის იმ დილას ქართული ტელეკომპანიების დილის საინფორმაციო-გასართობი გადაცემები შეწყვიტა.

მალე ეთერში ხელისუფლების წარმომადგენლები გამოჩნდნენ.

„ეს გაზით მოწამვლის ფაქტი იყო. იმ ოთახში ირანული გაზის გამათბობელი იყო დამონტაჟებული. ალბათ, ეს უეცრად მოხდა, ბატონი ჟვანია ამ დროს სავარძელში იჯდა...“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ჟვანიას ცხედრის აღმოჩენიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომელიც ჟურნალისტებმა შემდგომ სწრაფად აღადგინეს, 2005 წლის 2 თებერვალს ჟვანიამ სახელმწიფო კანცელარია დაახლოებით 22:55 საათზე დატოვა. იგი ჯერ დედასთან წავიდა, ხოლო 35-40 წუთის შემდეგ – საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში.

თავდაპირველად პოლიციამ განაცხადა, რომ აღნიშნულ ბინას უსუპოვი ქირაობდა. ჟვანიასა და უსუპოვს შორის ურთიერთობა მითქმა-მოთქმისა და ვარაუდების საგანი გახდა.

რაულ უსუპოვის მამა იაშა აცხადებს, რომ მის ვაჟს პრემიერ- მინისტრთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. გამოძიებამ რაულ უსუპოვის მობილური ტელეფონის საკონტაქტო ნომრებს შორის ჟვანიას მობილური ტელეფონის ნომერი აღმოაჩინეს. თუმცა, პრემიერ-მინისტრის ძმა გიორგი ჟვანია ამბობს, რომ ზურაბს ეს ნომერი სიკვდილამდე ერთი წლის განმავლობაში არ გამოუყენებია. პარლამენტის წევრმა ვასილ მაღლაფერიძემ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ საჯაროდ განაცხადა, რომ უსუპოვმა მას პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებაში დახმარება სთხოვა. ამით, ალბათ, მიანიშნა, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთს არცთუ ისე კარგად იცნობდა.

მოგვიანებით, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინის ფოტოები გამოქვეყნდა. სურათებზე მაგიდა იყო გამოსახული, რომელზეც კონიაკის გახსნილი ბოთლი იდო; იქვე ნარდი იყო გაშლილი.

ფოტოების მიხედვით ჩანდა, რომ ჟვანიამ და მისმა სტუმარმა ივახშმეს, დალიეს და არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობლიდან გამოყოფილი აირით მოწამვლის შედეგად დაიღუპნენ.

ეს ვერსია დღემდე მომხდარის წინასწარი ოფიციალური ახსნაა.

„პირველი ვერსია, რომელიც ჟვანიას დაღუპვის შემდეგ ოფიციალურად გაჟღერდა, კვლავ ძალაში რჩება. საქმე დახურული არ არის და ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარები არ კეთდება“, – განუცხადა IWPR-ს გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ხათუნა ცხვედიაშვილმა.

გასული წლის განმავლობაში ჟურნალისტებისთვის სხვა დეტალების გაცნობაზე ხელისუფლების წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ. თუმცა დროდადრო ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება სტატიები, სადაც ჟურნალისტები „გაჟონილ ინფორმაციაზე“ დაყრდნობით საუბრობენ. თუმცა კონკრეტულ წყაროს არ ასახელებენ.

საქართველოს კანონმდებლობით, ჟვანიას ნათესავებს გამოძიების მასალების მიღების უფლება აქვთ. ამ მასალებზე დაყრდნობით, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმამ და მეუღლემ მრავალჯერ განაცხადეს, რომ ისინი ოფიციალურ გამოძიებას არ ენდობიან.

გიორგი ჟვანიას სჯერა, რომ მისი ძმა უკვე გარდაცვლილი იყო, როცა იგი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში მიიყვანეს. მისი აზრით, ამის შემდეგ უბედური შემთხვევის ინსცენირება მოახდინეს.

გიორგი ჟვანიას თქმით, გამოძიებამ აჩვენა, რომ იმ ოთახში, სადაც ოფიციალური ვერსიის თანახმად პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ ღამე გაატარეს, მათი თითის ანაბეჭდები ვერ იპოვეს.

ჟვანია ამბობს, რომ ერთმანეთს არც გამოძიების სხვა დეტალები შეესაბამება.

„მაგალითად, თავიდან, პრემიერ-მინისტრის დაცვის ერთ-ერთმა წევრმა მიხეილ ძაძამიამ ჩვენება მისცა, რომ პრემიერის ამ ბინაში მიყვანამდე, პროდუქტების საყიდლად საკაძის მოედანზე მდებარე სუპერმარკეტში შეიარა“, – განუცხადა გიორგი ჟვანიამ IWPR-ს.

„როდესაც ამ ჩვენების შესახებ გავიგე, წამომცდა, რომ საკაძის მოედანზე არსებული სუპერმარკეტი 22:00 საათზე იკეტება“, – დასძინა მან.

როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმამ განაცხადა, ამ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის აღმოჩენიდან სამი დღის შემდეგ მოვლენათა განვითარების ახალი ვერსია შემუშავდა და ძაძამიას ჩვენება შეიცვალა. ახალი ვერსიით, ზურაბ ჟვანია სხვა მაღაზიაში წასულა, რომელიც არა საკაძის მოედანზე, არამედ საბურთალოს ქუჩაზე მდებარეობს და შუაღამემდე ღიაა.

„საინტერესოა, რომ ორივე ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება დღეს საქმეში დევს“, – განუცხადა გიორგი ჟვანიამ IWPR-ს.

გიორგი ჟვანია სხვა დეტალებზეც მიანიშნებს, რომლებსაც იგი ფალსიფიცირებისა და ჟვანიას სიკვდილის „ნამდვილი“ გარემოების დაფარვის მცდელობად აფასებს.

კერძოდ, ძაძამიას განცხადებების თანახმად, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში მან თვითონ ჩართო გაზის გამათბობელი – როცა ღამის 12 საათზე იქ ჟვანია მივიდა. თუმცა, გიორგი ჟვანია აცხადებს, რომ მობილური სატელეფონო კომპანიის მონაცემების მიხედვით, შეუძლებელია ძაძამია ამ დროს აღნიშნულ ბინაში ყოფილიყო.

მან განაცხადა, რომ როგორც სატელეფონო კომპანიიდან მიღებული ამონაბეჭდის თანახმად, დაახლოებით ამ დროს 23:59 საათზე, ძაძამიას მობილური ტელეფონიდან ზარი განხორციელებული იყო დიდუბის რაიონიდან, რომელიც საბურთალოს ქუჩიდან და იმ ბინიდან, სადაც ჟვანია გარდაიცვალა, რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაა.

გიორგი ჟვანია ამბობს, რომ სხვა ურთიერთგამომრიცხავი ფაქტებიც არსებობს და გამოძიების იმ მასალებზე მიუთითებს, რომლებიც მის ხელთ აღმოჩნდა.

ოფიციალური გამოძიების თანახმად, ჟვანიას დაცვის უფროსი, კობა ხარშილაძე ბინაში, სადაც პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა, 4:00 საათზე მივიდა. ძაძამიამ განაცხადა, რომ მან ფანჯარა ხელის დარტყმით გააღო. ამის შემდეგ ხარშილაძე ოთახში ფანჯრიდან შეძვრა და როგორც თავადვე აცხადებს, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრიც მან აღმოაჩინა.

თუმცა, როცა გამოძიებამ საგამოძიებო ექსპერიმენტი განახორციელა, ხარშილაძემ ფანჯრის იმავენაირად გაღება ვერ შეძლო.

გიორგი ჟვანიამ, რომელიც საგამოძიებო ექსპერიმენტს ესწრებოდა, IWPR-ს განუცხადა, რომ ხარშილაძემ თავისი ჩვენება შეცვალა.

„ამის შემდეგ მან (ხარშილაძემ) თქვა, რომ ბინაში სხვა ფანჯრიდან შევიდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის ფანჯარა შიგნიდან იყო ჩარაზული“, – დასძინა მან.

შესაბამისად, დაცვის წევრმა ფანჯრის ხელის დარტყმით გაღება ვერ შეძლო.

„უფრო მეტიც, თუ ფანჯარა ღია იყო, ოთახში ნახშირჟანგი არ დაგროვდებოდა. გამოძიების თანახმად კი, სიკვდილის მიზეზი სწორედ მხუთავი გაზი იყო“, – განუცხადა გიორგი ჟვანიამ IWPR-ს.

გამომძიებლებმა IWPR-თან საუბრისას აღნიშნეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და მის დასრულებამდე კომენტარის გაკეთება არ შეუძლიათ.

სატელევიზიო კომპანია „მზეს“ ჟურნალისტმა ირაკლი იმნაიშვილმა IWPR-ს განუცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან ერთი დღის შემდეგ მან შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან ხუთწუთიანი ინტერვიუ ჩაწერა.

იმნაიშვილის განცხადებით, მან მინისტრს მხოლოდ ერთი შეკითხვა დაუსვა, „შემთხვევიდან სულ რამდენიმე საათში როგორ დაასკვენით, რომ ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა?“.

ჟურნალისტის თქმით, მინისტრმა ოთახში გაზის სუნი ახსენა. თუმცა, იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ნახშირბადის მონოქსიდი, რომელიც სიკვდილის მიზეზად დასახელდა, უსუნო და უფერო გაზია.

გარდა ამისა, იმნაიშვილის განცხადებით, ტელეკომპანია „მზეს“ ხელმძღვანელობამ მას მერაბიშვილთან ინტერვიუს ეთერში გაშვების საშუალება არ მისცა. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მოგვიანებით მასთან შინაგან საქმეთა სამინისტროდან პოლიციელები მივიდნენ და კასეტა წაიღეს.

კითხვები იმ ღამეს საბურთალოს რაიონში გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული დარღვევების შესახებაც ჩნდება.

„თბილგაზის“ საავარიო სამსახურის სამორიგეო ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, 2 თებერვალს იმ უბანში, სადაც აღნიშნული ბინა მდებარეობს, გაზის წნევამ მოულოდნელად მოიმატა.

თბილგაზის თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, განაცხადა, რომ ჯიხურზე, საიდანაც გაზის წნევის მომატება შეიძლებოდა, იმ ღამით საკეტი გატეხილი იყო.

კითხვები გვამის გაკვეთის შედეგებთან დაკავშირებითაც ჩნდება, რომელთა თანახმადაც, პრემიერ-მინისტრი დილის 4-დან 5-საათამდე შუალედში გარდაიცვალა.

„თბილგაზის“ ზემოაღნიშნული ჟურნალის ჩანაწერის მიხედვით, საავარიო სამსახური ადგილზე 2:45 საათზე მივიდა, გაზი კი 2:55 საათზე გათიშეს.

მაგრამ ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრმა ძაძამიამ გამოძიებას განუცხადა, როცა „თბილგაზის“ თანამშრომლების მიერ გაზის გადაკეტვიდან ერთი საათისა და ხუთი წუთის შემდეგ იგი ბინაში შევიდა, გამათბობელი ჯერ ისევ ჩართული იყო.

ძაძამიას ჩვენების მიხედვით, იგი ოთახში 4:00 საათზე შევიდა, გაზის გამათბობლის შიშინი გაიგონა და დაცვის მეორე წევრს მისი გამორთვა სთხოვა.

ადამიანები, რომლებიც ჟვანიას გარდაცვალების წინასწარ ოფიციალურ ვერსიას კრიტიკულად აფასებენ, ჟვანიას დაღუპვის შესახებ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნასა და საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებულ ანგარიშს შორის არსებულ განსხვავებებზეც მიუთითებენ.

IWPR-ის წყარომ ანონიმურობის დაცვის პირობით გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიის დასკვნები მოგვაწოდა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნა ეწინააღმდეგება ქართული მხარის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბიუროს გამომძიებლებმა ირანული გამათბობლიდან ნახშირბადის მონოქსიდის მომაკვდინებელი დოზის გამოყოფის შესაძლებლობა დაადასტურეს.

თუმცა, დასკვნის ქართული თარგმანი, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, აბსოლუტურად საპირისპიროს ამტკიცებდა. ამ დოკუმენტის თანახმად, ფედერალური საგამომძიებო ბიუროს მიერ ბინაში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ გამათბობელს მომწამვლელი აირის მომაკვდინებელი დოზით გამოყოფა შეეძლო.

როცა პარლამენტის წევრს გიგა ბოკერიას ასეთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობის ახსნა სთხოვეს, მან ამ განსხვავებას „უბრალოდ თარგმანის ხარვეზი“ უწოდა.

თავად პარლამენტმა, სადაც უმრავლესობას პრეზიდენტის მხარდამჭერები შეადგენენ, გასულ წელს ჟვანიას სიკვდილის გარემოებების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის შესახებ ოპოზიციის წინადადების მიღებაზე უარი განაცხადა.

www.iwpr.net

სამხრეთ-ოსეთის მოლაპარაკებები არ გაგრძელდა

სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებები კვლავ უშედეგოდ დასრულდა – მთავარი დაბრკოლება მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი აღმოჩნდა.

არა თათევოსიანი,
ჰარიზი
მარინა ქარაპეტიანი,
ერევანი
შაჰინ რზაევი, ბაქო
აშოტ ბეგლარიანი,
სტეფანაკერტი
თომას დე ვაალი,
თბილისი

კავკასიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემის – ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში გარდატეხის იმედი სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შორის ფართოდ რეკლამირებული ორდღიანი მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ დაიმსხვრა.

მოლაპარაკებები 10-11 თებერვალს, ბარიზთან ახლოს, რამბუიეს შუასაუკუნოვან სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის შუამდგომლობით მიმდინარეობდა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს – ილჰამ ალიევსა და რობერტ ქოჩარიანს შორის მეხუთე და ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო.

მოლაპარაკებების დაწყებამდე აშშ-ის წარმომადგენელმა სტივ მანმა განაცხადა, რომ შეხვედრა „კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო შესაძლებლობას“ იძლევა.

ბევრი აღნიშნავდა, რომ რადგანაც აზერბაიჯანსა და სომხეთში უახლოეს მომავალში არჩევნები დაგეგმილი არ არის, კარგი იქნებოდა, ლიდერებს ენერგია ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრისკენ მიემართათ.

პირველ დღეს საუბარი ოთხი საათის განმავლობაში გაგრძელდა. თავდაპირველად ქოჩარიანი და ალიევი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მოგვიანებით მათ საგარეო საქმეთა მინისტრები და ეუთო-ის მინსკის ჯგუფის ამერიკელი, ფრანგი და რუსი თანათავმჯდომარეები – სტივ მანი, ბერნარ ფასიერი და იური მერზლიაკოვი შეუერთდნენ. ისინი ყარაბაღის კონფლიქტში შუამავლის ფუნქციას ასრულებენ. შეხვედრას ეუთო-ის ვეტერანი, საგანგებო დავალებათა ელჩი ანდრჟეი კასპრუიკიც ესწრებოდა, რომელიც კონფლიქტის ზონაში მონიტორინგს ახორციელებს.

სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტთა შეხვედრის დაწყებამდე ჟაკ შირაკი რობერტ ქოჩარიანს ცალკე, ელისეის სასახლეში შეხვდა და იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკება შედეგს მოიტანდა. საუბარი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრაზე პრეზიდენტების ორი პირადი ფოტორეპორტიორის გარდა, რომლებსაც რამდენიმე წუთით გადაღების უფლება მისცეს, ჟურნალისტები არ დაუშვეს.

მომდევნო დღეს ერთმანეთს აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ელდერ მამედიაროვი და ვარდან ოსკანიანი შეხვდნენ. Gგეგმის მიხედვით, თუ ეს შეხვედრა კარგად წარიმართებოდა, მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი უნდა დაწყებულიყო, უკვე პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მონაწილეობით. თუმცა ასე არ მოხდა – აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებმა პარიზი მალევე დატოვეს.

შეხვედრის შესახებ პრეზიდენტებს კომენტარი არ გაუკეთებიათ, მინსკის ჯგუფის თავმჯდომარეებმა კი მოკლე კომუნიკე გამოაქვეყნეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ „ინტენსიური მოლაპარაკებების მიუხედავად, კონფლიქტის დელიკატურ საკითხებთან დაკავშირებით მხარეების პოზიცია არ შეცვლილა“.

საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ ცნობით, 12 თებერვალს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელდარ მამედიაროვმა განაცხადა, რომ ცხრიდან შვიდ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ტაგირ ტაგიზადემ IWPR-ს განუცხადა, რომ „თუ ამ ეტაპზე ცხრა საკითხიდან ერთი მაინც არ გადაწყდა, საერთო შეთანხმება ჩაიშლება“.

როგორც ადრე, ახლაც განხილვის მთავარი საგანი მთიანი ყარაბაღის სტატუსი იყო. კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო, როდესაც ყარაბაღი ჯერ კიდევ საბჭოთა აზერბაიჯანის ნაწილი იყო. ომის დასრულებისა და 1994 წლის ზავის შემდეგ ყარაბაღს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული მთავრობა მართავს.

აზერბაიჯანელები აცხადებენ, რომ ჟვანია სხვა მაღაზიაში წასულა, რომელიც არა საკაძის მოედანზე, არამედ საბურთალოს ქუჩაზე მდებარეობს და შუაღამემდე ღიაა.

„საინტერესოა, რომ ორივე ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება დღეს საქმეში დევს“, – განუცხადა გიორგი ჟვანიამ IWPR-ს.

გიორგი ჟვანია სხვა დეტალებზეც მიანიშნებს, რომლებსაც იგი ფალსიფიცირებისა და ჟვანიას სიკვდილის „ნამდვილი“ გარემოების დაფარვის მცდელობად აფასებს.

კერძოდ, ძაძამიას განცხადებების თანახმად, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში მან თვითონ ჩართო გაზის გამათბობელი – როცა ღამის 12 საათზე იქ ჟვანია მივიდა. თუმცა, გიორგი ჟვანია აცხადებს, რომ მობილური სატელეფონო კომპანიის მონაცემების მიხედვით, შეუძლებელია ძაძამია ამ დროს აღნიშნულ ბინაში ყოფილიყო.

მან განაცხადა, რომ როგორც სატელეფონო კომპანიიდან მიღებული ამონაბეჭდის თანახმად, დაახლოებით ამ დროს 23:59 საათზე, ძაძამიას მობილური ტელეფონიდან ზარი განხორციელებული იყო დიდუბის რაიონიდან, რომელიც საბურთალოს ქუჩიდან და იმ ბინიდან, სადაც ჟვანია გარდაიცვალა, რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაა.

გიორგი ჟვანია ამბობს, რომ სხვა ურთიერთგამომრიცხავი ფაქტებიც არსებობს და გამოძიების იმ მასალებზე მიუთითებს, რომლებიც მის ხელთ აღმოჩნდა.

ოფიციალური გამოძიების თანახმად, ჟვანიას დაცვის უფროსი, კობა ხარშილაძე ბინაში, სადაც პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა, 4:00 საათზე მივიდა. ძაძამიამ განაცხადა, რომ მან ფანჯარა ხელის დარტყმით გააღო. ამის შემდეგ ხარშილაძე ოთახში ფანჯრიდან შეძვრა და როგორც თავადვე აცხადებს, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრიც მან აღმოაჩინა.

მოლაპარაკებათა პროცესში კარგად გათვითცნობიერებულმა წყაროებმა IWPR-ს განუცხადეს, რომ დისკუსია ძირითადად იმ შეთავაზების ირგვლივ გაიმართა, რომლის თანახმადაც სომხურმა შეიარაღებულმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის გარშემო განლაგებული შვიდი რაიონიდან ხუთი უნდა დატოვონ. მომავალში მთიანი ყარაბაღის სტატუსის გასარკვევად რეფერენდუმი გაიმართებოდა, რის შემდეგაც სომხურმა ძალებმა დარჩენილი ორი რაიონი – ლაჭინი და კელბაჯარიც უნდა დატოვონ. ეს რაიონები ყარაბაღსა და სომხეთს შორის მდებარეობს. ამ ტერიტორიებზე განლაგდებოდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები. ამის შემდეგ აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის, ლაჭინისა და სომხეთის გავლით ნახიჭევანამდე შეიქმნებოდა „მშვიდობის გზა“, რომელიც ორივე მხარეს ეთნიკურ თანამემამულეებთან თავისუფლად დაკავშირების საშუალებას მისცემდა.

თუმცა, ყარაბაღის სომხური მოსახლეობის წარმომადგენლებმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ძალების გამოყვანასთან დაკავშირებით მკაცრი პოზიცია დაიკავეს. კერძოდ, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ კელბაჯარზე კონტროლის შენარჩუნებას ყარაბაღის სტატუსის საკითხის გადაწყვეტამდე.

რეფერენდუმთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო რთულად გადასალახია. აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით კომპრომისი გამორიცხულია და ყარაბაღი აზერბაიჯანის ნაწილად რჩება. სომხები კი, რომლებიც ყარაბაღს ათ წელზე მეტია, ფაქტობრივად, აკონტროლებენ, ამბობენ, რომ მას აზერბაიჯანელებს არ დაუბრუნებენ.

მოლაპარაკებათა პროცესში კარგად გათვითცნობიერებულმა წყაროებმა IWPR-ს განუცხადეს, რომ დისკუსიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა ის, თუ რა ბედი ეწევა ყარაბაღის ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებულ სომხურ ძალებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე მხარე ამ იდეას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ რეფერენდუმის დროს ხმის მიცემის საშუალება ყარაბაღიდან დევნილ ყველა აზერბაიჯანელს ექნება. ამ პირობის შესრულება ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დაბრუნების საშუალებას იძლევა.

სომხური მხარე კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია რეფერენდუმის გამართვაზე თანახმა, თუ მასში მონაწილეობას მხოლოდ ყარაბაღის ახლანდელი მოსახლეობა მიიღებს. ამგვარად, რეფერენდუმი ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გასვლას დაუკანონებდა.

ყარაბაღის სომხური მთავრობის წარმომადგენლებს მოლაპარაკებებში ოფიციალური მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ბაქოსთან პირდაპირი მოლაპარაკებების საჭიროების შესახებ განაცხადეს. მათ რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ყარაბაღში აზერბაიჯანის იურისდიქციის აღდგენას არ დათანხმდებიან. „შეუძლებელია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის მონაწილეობის გარეშე იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც უშუალოდ ჩვენ გვეხება“, – განაცხადა მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო პრეზიდენტმა არკადი გუკასიანმა.

გუკასიანმა სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებითაც ისაუბრა. „არ მგონია, რომ რომელიმე სახელმწიფოს შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება გვაიძულოს. ჩვენი თანხმობის გარეშე სამშვიდობოების მიღებას ვერავინ გვაიძულებს“, – განაცხადა მან.

აზერბაიჯანის მთავრობა მოლაპარაკებების პირდაპირ ყარაბაღელ სომხებთან წარმოებაზე კვლავაც უარს აცხადებს, თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში მისი მკვეთრი პოზიცია ბოლო დროს შერბილდა.

„არ გამოვრიცხავთ, რომ მომავალში მოლაპარაკებებს ყარაბაღის სომხებთანაც გავმართავთ“, – განუცხადა IWPR-ს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მონისტრმა მამედიაროვმა პარიზის მოლაპარაკებების დაწყებამდე.

IWPR-ის შეკითხვაზე, „ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გუკასიანს ბაქოში დაპატიჟებთ“, მამედიაროვმა გვიპასუხა – „ამჟამად ეს საკითხი ღღის წესრიგში არ დგას. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში“.

აზერბაიჯანელი და სომეხი პოლიტიკური მიმომხილველები ამბობენ, რომ პარიზის შეხვედრამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად რთულია ორ მხარეს შორის არსებული უთანხმოების გადალახვა.

„ინტერესთა ბალანსი დღეს ისეთია, რომ კონფლიქტის რეალურად მიღწევადი მშვიდობიანი დარეგულირება სამიდან არც ერთ მხარეს არ აწყობს“, – განაცხადა ერევნის ინფორმაციის საშუალებათა კავკასიური ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე ისკანდერიანმა.

„აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მისაღწევად ძალთა ბალანსის შეცვლაა აუცილებელი. ასეთი რამ კი ერთ დღეში, ერთ თვეში ან თუნდაც ერთ წელიწადში არ შეიძლება მოხდეს“, – დასძინა მან.

„ალიევი და ქოჩარიანი ამ კონფლიქტს საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების ჩასახშობად იყენებენ“, – ამბობს ბაქოელი პოლიტიკური მიმომხილველი ზარდუშტ ალიზადე.

„ისინი, უბრალოდ, თავს იკატუნებენ, თითქოს სამშვიდობო პროცესში მონაწილეობენ. ბევრი შუამავალი კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიმართულებით არ მოქმედებს. თითოეული მხარე საკუთარი ინტერესის დაცვას ცდილობს“, – დასძენს იგი.

რადიკალურად განწყობილი პოლიტიკოსები როგორც სომხეთში, ისე აზერბაიჯანში, ყარაბაღთან დაკავშირებით ნებისმიერ კომპრომისს კვალვაც გამორიცხავენ.

„აზერბაიჯანიუკვე ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად უნდა მოემზადოს. თავისი სამხედრო პოტენციალიდან გამომდინარე უარი უნდა თქვას ეუთო-ის წინადადებებზე, რომლებიც ჩვენი ტერიტორიების დათმობისკენ გვიბიძგებს“, – ნათქვამია ყარაბაღის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის განცხადებაში. ამ აზერბაიჯანული ორგანიზაციის მიზანი სამხედრო ოპერაციის საშუალებით რეგიონის გათავისუფლებაა.

„ჩვენ თავს მოხვეული ომი მოვიგეთ, მაგრამ რატომღაც თავდაცვის პოზიცია გვიჭირავს“, – თქვა სომხეთის არმიის გენერალ-მაიორმა ვიტალი ბალასანიანმა, რომელიც ყარაბაღის ომში იბრძოდა. იგი დღეს პარლამენტის წევრია ნაციონალისტური პარტიიდან „დაშნაკცუტიუნი“.

„ჩვენ კონტრდარტყმები ყველა მიმართულებით (პოლიტიკური) უნდა განვახორციელოთ – თავი აზერბაიჯანელებმა უნდა დაიცვან!“, – დასძინა მან.

შუამავლები ირწმუნებიან, რომ მიუხედავად წარუმატებელი მოლაპარაკებებისა პარიზში, სამშვიდობო პროცესის შესაძლებლობები ჯერ არ ამოწურულა. ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ დავალება მიიღეს. ორ პრეზიდენტს შორის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხები უკვე განიხილება. შეხვედრა ვაშინგტონში მარტში გაიმართება.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

შპს "საქართველოს რკინიგზა" არ იყიდება

საწარმოს ფინანსურ დოკუმენტაციას აუდიტორული კომპანია სწავლობს

ნინო ნატროშვილი





2006 წლის იანვრის მონაცემებით, შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გადაზიდული ტვირთების და გადაყვანილი მგზავრების რაოდენობრივმა მაჩვენებლებმა რეკორდულ ციფრს მიაღწია. საწარმოს გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას ინფორმაციით, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომპანიის მიერ ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებელი, დაგეგმილთან შედარებით, 40 პროცენტით გაიზარდა. 2006 წლის იანვარში გადაზიდულია 1 მლნ. 614 ათასი ტონა ტვირთი, რაც გეგმის 106 პროცენტს შეადგენს და 2005 წლის მონაცემებს 471 ათასი ტონით აღემატება. მნიშვნელოვანი მონაცემებია ნავთობპროდუქტების გადაზიდვის სექტორშიც. 2006 წლის იანვარში საქართველოს რკინიგზით 1 მლნ. 63 ათასი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტებია გადაზიდული. ეს მაჩვენებელი გეგმის 109 პროცენტს შეადგენს და 2005 წლის მონაცემებს 445 ათასი ტონით აღემატება.

"იანვარი საკმაოდ რთული თვეა კლიმატური და ფისკალური თვალსაზრისით. მარტიდან "საქართველოს რკინიგზის" შემოსავლები კიდევ 30 პროცენტით გაიზრდება," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ირაკლი ეზუგბაიამ. მისი თქმით, ბოლო სამ თვეში მოხდა კომპანიის შემოსავლების ლეგალიზაცია, განხორციელდა 69 მილიონი ლარის ინვესტიცია, რომელშიც 30 პროცენტი კომპანიის შემოსავლებმა შეადგინა.

2006 წელს საქართველოს რკინიგზაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მგზავრთნაკადიც. იანვარში რკინიგზით 318 ათასმა მგზავრმა ისარგებლა. 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით, 20 ათასი მგზავრით მეტი იქნა გადაყვანილი.

საწარმოს ადმინისტრაცია კერძო კაპიტალიდან დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას გეგმავს, რომელიც ნავთლულის და თბილისის ცენტრალური სადგურის მოდერნიზაციაზე დაიხარჯება. ირაკლი ეზუგბაიას განმარტებით, აღნიშნული ობიექტების მოდერნიზაციას 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია დასჭირდება. კაპიტალის მოზიდვის მიზნით უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომლის შედეგებიც მარტში გახდება ცნობილი. ვაგზლის ცენტრალური სადგურის მოდერნიზაციის სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ ორმა კომპანიამ გამოთქვა, თუმცა მათი ვინაობა ჯერ არ ხმაურდება.

რკინიგზის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ სადგურების მოდერნიზაციის შემდეგ მგზავრთა ნაკადი გაიზრდება, რაც ამ სექტორიდან უფრო მეტი შემოსავლების მიღებას გამოიწვევს.

რაც შეეხება შპს "საქართველოს რკინიგზის" ფინანსური აუდიტის საკითხს, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ პროცედურას აუდიტორული კომპანია "ერნსტ დე იანგი" ახორციელებს. საწარმოს გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას განმარტებით, 2004 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნის მომზადება მარტში დასრულდება. "საქართველოს რკინიგზის" 2005 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნა კი 2006 წლის აგვისტოში გახდება ცნობილი. "ამ დასკვნების საფუძველზე გაირკვევა "საქართველოს რკინიგზის" ფინანსური მდგომარეობა. კომპანიის პრივატიზაციის საკითხი მხოლოდ ფინანსური აუდიტის შედეგების გაცნობისას გადაწყდება," - განუცხადა "24 საათს" ეზუგბაიამ. "საქართველოს რკინიგზის" გაყიდვის საკითხი ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დგას.

ეზუგბაიას განცხადებით, შპს "საქართველოს რკინიგზა" მომგებიანი კომპანიაა. 2005 წელს მოგებამ 42 მილიონი ლარი შეადგინა. საწარმოს ადმინისტრაციის პროგნოზით, 2006 წელს ეს მაჩვენებელი 52 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

მოკლედ

ტენდერი მე-3 თაობის მობილურ სიხშირეებზე

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 2000 მეგაჰერც სიხშირულ დიაპაზონში მე-3 თაობის მობილური კავშირგაბმულობის სიხშირეებზე ტენდერს მომავალ კვირაში გამოაცხდებს. როგორც კომისიის წევრმა ელისო ასანიძემ აღნიშნა, გასაყიდი სიხშირეები საწყისი ფასი 8 მილიონ ლარს გადააჭარბებს. ეს სიხშირული დიაპაზონი ვიდეოგამოსახულების გადაცემის და ინტერნეტმომსახურების მაღალ სიჩქარეს უზრუნველყოფს. როგორც მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ გურგენიძემ განაცხადა, მაგთიკომი ტენდერში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან კომპანიამ ამ დიაპაზონში სიხშირეები 2005 წლის აგვისტოში გამართულ აუქციონზე 20 მილიონ ლარად უკვე შეიძინა. ტენდერში ჯეოსელის შესაძლო მონაწილეობის შესახებ ჯეოსელის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტმა ირმა ცქიტიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, კომპანიას სიხშირეები აღნიშნულ დიაპაზონში ჯერ არ გააჩნია. **პრაიმ-ნიუს**

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდის ტენდენცია ფიქსირდება

ბოლო დღეების განმავლობაში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. როგორც "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, მიმდინარე წლის იანვრიდან თებერვლის ჩათვლით საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასმა მკვეთრად დაიკლო, თუმცა ბოლო სამი დღის განმავლობაში ფასების მატება ფიქსირდება. მისივე ინფორმაციით, ბოლო მონაცემებით, 1 ტონა ბენზინის ფასი 473 დოლარიდან 495 დოლარამდე გაიზარდა, ხოლო დიზელის - 505 დოლარიდან 516 დოლარამდე. მთვრალაშვილის განცხადებით ფასების ზრდა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. კერძოდ, ნიგერიაში, რომელიც ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებს შორის მერვე ადგილზეა, ქვეყნის შიგნით მიმდინარე არეულობის გამო, ნავთობის მოპოვება 20 %-ით შემცირდა. ვენესუელას პრეზიდენტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა, მკვეთრ განცხადებებს აკეთებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუწყვეტს ნავთობის მიწოდებას. როგორც ცნობილია, ამერიკა ძირითადად იმპორტირებული ნავთობით მარაგდება. საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასებზე გავლენას ახდენს ირანში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაც. **"თუ, სიტუაცია არ დარეგულირდება სავარაუდოა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასები კიდევ მოიმატებს, რაც ბუნებრივია ჩვენს ბაზარზეც აისახება"** - განაცხადა მთვრალაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

"ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას" აუდიტორული კომპანია "ხაჩი" შეამოწმებს

სს "ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანას" ცნობილი აუდიტორული კომპანია "ხაჩი" შეამოწმებს. როგორც ფეროს ადვოკატმა გიგა კვერენჩხილაძემ განაცხადა, აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში უახლოეს დღეებში ჩამოვლენ. კვირის ბოლოს კი საქართველოს ინგლისური კომპანია "სტემკორის" წარმომადგენლებიც ესტუმრებიან, რომლებმაც ფეროს მლობელი კომპანია "სელრომექსი" 100 პროცენტით შეისყიდეს.

შეგახსენებთ, რომ "სელრომექსის" დამფუძნებლებმა გიორგი კაპანაძემ და ილია კოკაიამ, რომლებიც ფეროს აქციათა 96,3 პროცენტს ფლობენ, კომპანია "სელრომექსი" "სტემკორს" გასულ კვირას მიყიდეს. ისინი საზღვარგარეთ დევნილობაში იმყოფებიან და საწარმოს გაყიდვის გადაწყვეტილებაც შექმნილი გამოუვალი სიტუაციიდან გამომდინარე მიიღეს. როგორც ადვოკატი ირწმუნება, საქართველოს მთავრობა მუდმივ ზეწოლას ახორციელებდა მათზე, რათა კუთვნილი ქონება ჩამოერთმია. მისივე თქმით, მიუხედავად ყოველივე ამისა, გიორგი ბედნიეშვილი, რომელიც გასულ კვირას ფეროში ე.წ სოდის თანამშრომლებისა და სპეცნაზის თანდასწრებით ძალმომრეობით შეიჭრა, კომპანიის მართვის მცდელობას კვლავ განაგრძობს.

ბედნიეშვილმა ყოველგვარი იურიდიული საფუძვლების გარეშე განაცხადა, რომ ის კომპანიის გენერალური დირექტორი, შემდეგ კი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წარმომადგენელი იყო. თუმცა ქარხნის კოლექტივი საპროტესტო აქციებით მას კომპანიის მართვის საშუალებას არ აძლევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

სოფლის მეურნეობის სამინისტროში მემორანდუმი გაფორმდება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მნიშვნელოვანი საკადასტრო მონაცემები და თანამედროვე ტექნიკა გადაეცემა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მემორანდუმს დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელს მოაწერენ მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი და კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ხელმძღვანელი კლაუს ბუშჰოფი. მემორანდუმის თანახმად, სამინისტროს მიმდინარე კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში მოზადებული მონაცემები ბაზა, კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები გადაეცემა. ამავე მემორანდუმის თანახმად, ტრენინგები ჩაუტარდებათ სამინისტროს თანამშრომლებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიწის რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში განახლდა არსებული ნიადაგის რუკები და ტექსტური მონაცემები, რამაც შესაძლებელი გახადა მესაკუთრეს სწრაფად და ადგილზე გაუსვლელად მიიღოს ინფორმაცია კონკრეტული ტერიტორიის ნიადაგის შესახებ. სამინისტროს ინფორმაციით, განხორციელდება ნიადაგის მონაცემების საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირება გეომონაცემთა ბაზის გამოყენებით, რისი საშუალებითაც სასოფლო-სამეურნეო მიწის შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო სისტემის შექმნა გახდება შესაძლებელი. **ინტერპრესნიუსი**

bp btc SCP South Caucasus Pipeline

წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნა (RFP)

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმასთან დაკავშირებით საქართველო

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებისთვის (SCP)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით

გამოქვეყნების თარიღი: **2006 წლის 13 თებერვალი**

წინადადებების მიღების დასრულების ვადა: **2006 წლის 10 აპრილი, დღის 12:00 თბილისის დროით.**

BP, რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისა (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიის (SCP) სახელით, თხოვნით მიმართავს სათანადოდ კვალიფიცირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მოამზადონ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის (KTMR) მართვის გეგმა.

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში - ბორჯომის რაიონში - მდებარეობს. აღკვეთილი 22,000 ჰექტარ ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მაღალმთიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტბები, რომლებიც ზღვის დონიდან 1,990 - 2,080 მეტრის სიმაღლეზეა. ამჟამად მოცემული აღკვეთილის მართვის გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული აღკვეთილის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და აქტიურად არ ხორციელდება მართვის ღონისძიებები.

BP, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის სახელით და მის ინტერესებში მოქმედებს, მზადაა დააფინანსოს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ეფექტური მართვის გეგმის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად შემდეგის განხორციელება სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს:

- საჭირო ფონური კვლევების ჩატარება;
- კონსერვაციზე მიმართული მართვის მიზნების განსაზღვრა;
- მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც ყველა საჭირო ასპექტს მოიცავს;
- მოცემულ პროცესში მონაწილე დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება;
- საჯარო კონსულტაციები;

მოცემული დავალების საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის მართვის გეგმა, რომელიც მისაღები იქნება ყველა მონაწილე მხარისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის და დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

BP-ის მოითხოვნის შესაბამისად ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ან ორგანიზაციათა კონსორციუმის სათავეში მდგომი ორგანიზაციის ფორმით მიიღებენ მონაწილეობას მოცემულ ტენდერში, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს მსგავსი პროექტების მართვის და/ან განხორციელების გამოცდილება, რომელთა დაფინანსება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 50,000 აშშ დოლარის ტოლი იყო.
- უნდა გააჩნდეს კონსერვაციისა და მართვის დაგეგმვის წარმატებული გამოცდილება თავად ორგანიზაციას ან წარმოდგენილ ჯგუფში შემავალ ინდივიდუალურ პირებს;
- თითოეულ წინადადებაში საქართველოს ეროვნული ექსპერტიზის მონაწილეობა, ორგანიზაციის ან ინდივიდუალური პირების სახით.

BP უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა ეროვნულ ექსპერტებთან და მათ გამოცდილებას ეყრდნობიან.

სატენდერო დოკუმენტების მიღება შეგიძლიათ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე 13 თებერვლიდან 27 თებერვლამდე, BP-ის ოფისში, შემდეგ მისამართზე: საბურთალოს ქუჩა N38, თბილისი, საქართველო; ან ქვემოთ მოცემულ ინტერნეტ-გვერდებზე:

www.caspiandevelopmentandexport.com

განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საერთო სასამართლოების აპარატების მანდატურის სამსახურების შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლო:
- მანდატურის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 500 ლარი);
- სასამართლოს მანდატური - 29 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 365 ლარი).

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო:
- მანდატურის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 500 ლარი);
- სასამართლოს მანდატური - 17 საშტატო ერთეული 9თანამდებობრივი სარგო - 365 ლარი).

3. თბილისის საქალაქო სასამართლო:
- მანდატურის სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 450 ლარი).
- სასამართლოს მანდატური - 49 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 350 ლარი).

4. ფოთის საქალაქო სასამართლო:
- სასამართლოს მანდატური - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

5. გორის რაიონული სასამართლო:
- სასამართლოს მანდატური - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

6. რუსთავის საქალაქო სასამართლო:
- სასამართლოს მანდატური - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლო:
- სასამართლოს მანდატური - 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

8. ბათუმის საქალაქო სასამართლო:
- სასამართლოს მანდატური - 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 180 ლარი).

კონკურსის პირობები

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 25-დან 50 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მანდატურის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- საქართველოს კონსტიტუციის, "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

მანდატურის თანამდებობაზე:
- "საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონების, "იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა.

კონკურსს ატარებს შესაბამისი სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
4. ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;
5. ორი ფოტოსურათი;
6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა. კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7, თბილისის სააპელაციო სასამართლო.

საჯარო სამსახურის ბიურო

მარადიული კითხვები, დისკუსიები და პრობლემები

პელე თუ მარადონა? ხინკალი თუ ქაბაბი? ხაში თუ ბორჯომი პახმელიაზე? თავის დროზე დაახლოებით იგივე სიმძიმის კითხვა დასვა სერ უილიამ შექსპირმა. დასვა და დავეტოვა უპასუხოდ, ხახამშრალები. ბეჭედდარტყმული პასუხი არც პელე-მარადონას შემთხვევაში არსებობს და, აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ - ეს არის მარადიული კითხვა, რომელსაც ვერავინ უპასუხებს ისე, რომ კამათში მოწინააღმდეგემ მარცხი აღიაროს.

და საერთოდ, რა საჭიროა დავა იმაზე, პელე უფრო მაგარი იყო თუ მარადონა. იქნებ დი სტეფანო? კრუიფი? ან კიდევ პლატინი? ყველა ეპოქას ჰყავს თავისი გმირი, ჯადოქარი, რომელზეც ფსონთა უმეტესობა იდება და რომელიც ერთი ან ორი ხუთწლედი ხელშეუხებელია. ხანდახან ისეც ხდება, რომ ერთ პერიოდში ორი კაცი მეფობს, როგორც ეს სამოცდაათიანებში იყო იოჰანისა და ფრანცის ბრწყინვალებისას.

განსაკუთრებული აგრესიულობით მაინც დიეგოს დაჯგუფებაში მყოფი კერპთაყვანისმცემლები გამოირჩევიან. ამას ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, პელეს კომპლექსი (ის ხომ პირველად მოახტა ხელმწიფის სავარძელს), ან კიდევ ის, რომ მეორე მარადონა ვერა და ვერ დაიბადა, შეიძლება აღარც დაიბადოს და ეს გაუთავებელი ლოდინი ძალიან ემსგავსება ზვიადისტ ქალბატონთა მესიაზე ოცნებას.

მესიაზე გამახსენდა - ლეო მესიზე ამბობენ, გაიზრდება და ყველას გადაუჯოკრავსო. ეს თავად დიეგიტომაც თქვა, ოღონდ მეეჭვება, გულის სიღრმეში სჯეროდეს ამ სისულელისა, რადგან მარადონამაც, მესიმაც და ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ მეორე დიეგო აღარ იქნება, შანსი არაა. ყოველ შემთხვევაში, არგენტინაში და, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ამ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ მხოლოდ ახალი მესია მოიტანს სასურველ წარმატებებს.

ამას წინათ გავბედე და ვთქვი, რომ თუ რონალდინიომ ასე გააგრძელა, შეიძლება პელესა და მარადონას სია გაგრძელდეს. კინაღამ ჩამქოლეს. არადა, რაა იმაზე უკეთესი, თუ ვინმე გახდება დიდგვაროვანთა გვერდით მოხსენიების ღირსი?

დიეგო არმანდო მარადონა ბურთის მოსაფერებლად დაბადებული კაცია. არ შეიძლება მის თამაშს უყურო და არ გაგაჟრიალოს, მაგრამ არც იმის მტკიცებაა სწორი, რომ მარადონათი ფეხბურთი დამთავრდა. ეს ხომ მარაზმია.

რასაკვირველია, ჯერ ადრეა რონალდინიოსა და დიეგოს შედარება. ბრაზილიელს ბევრი აქვს დასამტკიცებელი ამისთვის და თუნდაც ზინედინ ზიდანთან საჭიდაოდ, რადგან არგენტინელისა და ფრანგის სახელზე თითო მსოფლიოს ჩემპიონატია გაფორმებული, პერმანენტულად მოღიმარ რონალდინიოს კი ჯერ არა აქვს პირადი მსოფლიო თასი. ეს კი ამ დონეზე უკვე მინუსია.

ტიტულებს და საგმირო საქციელებს თუ გვერდზე გადავდებთ, მაშინ მანძილი საგრძნობლად შემცირდება. თავის დროზე დიეგო ყოველ შეხვედრაში ერთხელ მაინც წამოახტუნებდა მთელ სტადიონს, რონალდინიო კი დღეს აგრძელებს ამ გადასარევ ტრადიციას. მათი ეფექტურობა იდენტურია. მათი ცქერისას ვერასდროს გათვლი წინასწარ, რა მოხდება ერთ-ორ-სამ წამში. ისინი ერთნაირად იყენებენ სხეულის ნებისმიერ ნაწილს ბურთის სამართავად - ფეხს, თავს, მხარს, მკერდს, ზურგს, ქუსლს და ხანდახან ხელსაც.

რონალდინიომ რომ ეს ჩემპიონატი თავის სახელზე გააფორმოს, მერე იტყვიან, გვერდით რონალდო, კაკა, ადრიანო ჰყავდა და მარადონას კი არავინ ჰყოლიაო. ეს ვერსია უკვე არაერთგზისაა გამოყენებული პელესთან ბრძოლისას და, მე თუ მკითხავთ, სასაცილოა. მარტო ვერავინ ვერასდროს ვერაფერს მოიგებს ვერც ფეხბურთში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ჭადრაკში.

■ ■ ■

საქართველოში კიდევ ერთი თავისმომჭრელი ამბავი გაირკვა - ქვეყნის ყველაზე სახელოვან სპორტსმენს, ნაკრების კაპიტანს ძმა მოსტაცეს და მოუკლეს. მოუკლეს არაადამიანური სისასტიკით და მაშინ, როცა მთელი ქვეყანა ფეხზე უნდა დამდგარიყო, ვიღაცების დაუდევრობის გამო ეს საზარელი ამბავი მხოლოდ წლების შემდეგ გაირკვა. ამ წლების განმავლობაში არანაკლები საშინელებები მოხდა - ბიოლოგიურმა არსებებმა, რომლებმაც წინასწარ იცოდნენ, რომ არაფერი იცოდნენ გატაცებულის შესახებ, კალაძეების ოჯახს რამდენჯერმე გამოართვეს ფული დახმარების სანაცვლოდ.

ადრე თუ გვიან თავისას ყველა მიიღებს. მე კი უზომოდ მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანაში ჩემი თანამემამულეები ასეთ ეშმაკისეულ საქციელს სჩადიან. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ეს ამბავი ყველამ კარგად უნდა გადავხარშოთ და დასკვნები გამოვიტანოთ.

ისე ნუ ვიზამთ, რომ საქართველოში ხალხს საქმის კარგად კეთება კი არა, ცხოვრება აღარ მოუნდეს.

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

პარაგვაის 31 მაისს ვეთამაშებით

ტოპმიოლერის პირველი სერიოზული გამოცდა 31 მაისს შედგება.

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი პარაგვაიში იყვნენ და თბილისში დღეს, გვიან ღამით დაბრუნდებიან. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში ჩვენი საფეხბურთო დელეგაციის ვიზიტის მიზანი ამხანაგურ თამაშთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა იყო. შეგახსენებთ, რომ პარაგვაის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეა, რომელიც ივნისში სტარტს აიღებს. ასეთი ტურნირის წინ ფინალისტები ამხანაგურ ტესტმატჩებს მართავენ. სწორედ ასეთი სპარინგის ჩატარება შესთავაზეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პარაგვაელებმა. მოლაპარაკება, რომელიც ქართული მხრიდან უჩა უგულავამ და კალუს ტოპმიოლერმა წარმართეს, შედეგიანად დასრულდა. გადაწყდა, რომ ამხანაგური მატჩი პარაგვაისა და საქართველოს ნაკრებს შორის გაიმართება 31 მაისს ავსტრიაში. შეხვედრის საორგანიზაციო ხარჯებს ავსტრიელები გაიღებენ. ამ თემაზე პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით პრესკონფერენცია გამართა კლაუს ტოპმიოლერმა და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

შეგახსენებთ, რომ 22 თებერვალს სტარტს აიღებს საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე. საქართველოს ნაკრების თავკაცი ტურის რომელიმე მატჩს დაესწრება. 23 თებერვალს საქართველოს ნაკრები მალტაში გაემგზავრება, სადაც ოთხთა საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში, საქართველოსა და მალტის გუნდების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ ლიბიისა და მოლდოვას ნაკრებები. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. თამაშები გაიმართება 25, 27 თებერვალს და 1 მარტს. ტოპმიოლერი ამ თამაშებში ეროვნული ნაკრების 35 კანდიდატს გამოცდის.

ტური 2006

იასონის ნაკვალევზე

ერთი კვირის წინათ კომბინაციაში წარუმატებლობის შემდეგ ავსტრიელი ბენჟამინ რაიხი, როგორც იქნა, პირველ ოლიმპიურ ოქროს დაეპატრონა. ავსტრიელმა გიგანტურ სლალომში მიაღწია წარმატებას, იმ დისციპლინაში, რომელსაც ქართველი გულშემატკივრისთვის გუშინ ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. იასონ აბრამიშვილი მეორე ქართველი ოლიმპიელია, რომელმაც ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა. რა თქმა უნდა, 17 წლის სამთომოთხილამურისგან წარმატებას არავინ ელოდა, მაგრამ თუ ყველაფერს ავწონ-დავწონით და რიგ გარემოებებსაც გავითვალისწინებთ, გიგანტურ სლალომში აბრამიშვილის გამოსვლა არცთუ წარუმატებელია.

გიგა გურასაშვილი

ალბათ, ხშირად გაგიგონიათ, მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვებაო. იასონ აბრამიშვილის შემთხვევაში ოლიმპიურმა დევიზმა საკუთარი დატვირთვა დაკარგა.

მაჩანჩალებს შორის გამწესებულმა ქართველმა 64-ე ნომრად აიღო სტარტი და ბოლომდეც გავიდა. არაფერს ვამბობთ ბობოლეზე. ელიტაში შემავალ მოთხილამურეებს, როგორც წესი, პირველებს აძლევენ სტარტს და მხოლოდ მათ მიერ გატკეპნილ ტრასაზე ასპარეზობის უფლება ეძლევათ სხვა დანარჩენებს, რომლებიც უფრო სტატისტების როლს ასრულებენ და მხოლოდ იმას ცდილობენ, ტრასა ბოლომდე ჩაისრიალონ, თუნდაც ამას ერთი საათი მოანდომონ და მეორე ცდაზე გასვლის საშუალება მიეცეთ. აბრამიშვილის შემხედვარეს კი ასეთი შთაბეჭდილება არ დამრჩენია. საკმაოდ აგრესიულად დაიწყო. უფრო სწორად, ფეთიანივით გავარდა ჭიშკრისკენ. ემოციური სტარტის გამო საწყის მონაკვეთშივე ტრაექტორია დაკარგა. საბედნიეროდ, მაღევე შეძლო მისი აღდგენა, სიჩქარის აკრეფა კი ვეღარ მოასწრო. სტარტზე დაკარგული ტრაექტორიის გამო 5-6 წამი დაკარგა, ტრასა კი 32-ე შედეგით - ბენი რაიხთან + 10:98 ჩამორჩენით ჩაისრიალა. მართალია, პირველი ეტაპის შემდეგ ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარც ჰქონდა.

გიგანტურ სლალომში 84 სპორტსმენი გავიდა სტარტზე, რომელთა ერთმა ნაწილმა, მათ შორის გამოცდილებმა, ჭიშკარი გამოტოვეს ან თხილამური გასძვრათ.

რა თქმა უნდა, კულმინაცია მეორე, დასკვნითი ცდა იყო. გამოუცდელი აბრამიშვილი ლოგიკურად სასტარტო მღელვარებისგან უნდა გათავისუფლებულიყო და შედეგიც გაეუმჯობესებინა. ქართველმა მოთხილამურემ მეორე ცდა უფრო მშვიდად დაიწყო, თუმცა, არც ამჯერად მოერიდა აგრესიულ ასპარეზობას. მეორე ცდაზე შედეგით 1:27.27 აბრამიშვილი 30-ე იყო, ხოლო ორი ცდის ჯამში 29-ე ადგილი დაიკავა.

ერთი სიტყვით, 17 წლის გამოუცდელმა ბიჭმა სამთოთხილამურობაზე შეშლილ ქვეყნებთან ჭიდილში კიდევ ბევრი შეძლო.

გიგანტური სლალომი
ვაჟები:

1. ბენჟამინ რაიხი (ავსტრია)	2:35.00
2. ჟოელ შენალი (საფრანგეთი)	2:35.07
3. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	2:35.16
29. იასონ აბრამიშვილი (საქართველო)	**2:54.86**

კულტურა

VIVA VERDI

ძველი სპექტაკლის ახალი ისტორია

სოფო კილასონია

დღეს საღამოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის "ბალ-მასკარადის" განახლებული სპექტაკლის პრემიერა გაიმართება. 21, 24, 26 და 28 თებერვალს სპექტაკლს სხვადასხვა შემადგენლობით წარმოგვიდგენენ. ერთმანეთს შეენაცვლებიან უფროსი და უმცროსი თაობების ვოკალისტ-შემსრულებლები - ისინი, ვისაც ვერდის ამ ქმნილებაში მრავალი წლის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა და ისინი, ვისთვისაც პირად რეპერტუარში ეს სპექტაკლი ახალ და მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა.

ვერდის "ბალ-მასკარადის" წარმოდგენები, მიხეილ თუმანიშვილის რეჟისურითა და ჯანსულ კახიძის მუსიკალური ხორცშესხმით, ჩვენი თეატრის სცენაზე ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინ მიმდინარეობდა. სპექტაკლის სრული განახლება ფინანსების უქონლობის გამო თეატრმა ვერ მოახერხა, თუმცა დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე სრულიად ახალ მუსიკალურ რედაქციას გვთავაზობს. განახლებული სპექტაკლი კუპიურებით შეივსო. მას ამჯერად თეატრის განახლებული ორკესტრი და ახალი საოპერო დასი შეასრულებს. ბუნებრივია, ახლებურ იერ-სახეს შესძენენ ქართველი მსმენელისთვის ერთ-ერთ ყველაზე ნაცნობსა და საყვარელ წარმოდგენას.

"ბალ-მასკარადისთვის" ლიბრეტოს შექმნისას ვერდი ფრანგი დრამატურგის ევგენი სკრიბის პიესით "გუსტავ III შვედი" 1857 წელს დაინტერესდა. პიესას საფუძვლად დაედო 1792 წელს ერთ-ერთი კარნავალის მსვლელობის დროს შვედეთის მეფის გუსტავ III-ის მკვლელობის ამბავი. ლიბრეტო შეადგინა ანტონიო სომამ. ოპერა ნეაპოლის თეატრ "სან კარლოს" სცენაზე უნდა დადგმულიყო. მაგრამ რაკი ლიბრეტოს ფაბულას მეფის წინაღმდეგ შეთქმულებისა და მისი მკვლელობის ისტორია შეადგენდა, ცენზურამ ოპერის სცენური განხორციელება შეაფერხა. მდგომარეობა დაამძიმა პარიზში ჩასული იტალიელი ემიგრანტის ფელიჩე ორსინის მიერ 1858 წლის 14 იანვარს ნაპოლეონ III-ზე განხორციელებულმა თავდასხმამაც. ცენზურას სერიოზულად აფიქრებდა ის გარემოება, რომ საფრანგეთში მიმდინარე მოვლენები ოპერის სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო. ამის გამო ცენზურამ ლიბრეტოს შეცვლა მოითხოვა. მოქმედება მეთვრამეტე საუკუნის შვედეთის ნაცვლად უნდა გადატანილიყო შუა საუკუნეების ფლორენციაში. მთავარი გმირი მეფის ნაცვლად გავლენიანი დიდგვაროვანი უნდა ყოფილიყო. კომპოზიტორისთვის ასეთი ცვლილებები მიუღებელი აღმოჩნდა. თეატრის დირექცია ცენზურის ზეწოლით კატეგორიულად ითხოვდა ლიბრეტოს გადაკეთებას, წიანააღმდეგ შემთხვევაში კი - დანაკარგის ანაზღაურებას. ვერდისა და თეატრის დირექციას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი სასამართლომდე მივიდა. ვერდის დაპატიმრებით დაემუქრნენ. კომპოზიტორის პრინციპულობამ ნეაპოლელები იმდენად მოხიბლა, რომ ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და შეძახილებით ხვდებოდნენ კომპოზიტორს. Viva Verdi -სკანდირებდნენ ნეაპოლელები. სწორედ ამ დროს განახლდა იტალიის გაერთიანებისთვის ბრძოლა პიემონტის აშკარა ჰეგემონობით. ვერდის სახელი შეიცავდა პიემონტის მეფის - ვიქტორ ემანუელის ინიციალებს და ფაქტობრივად იმ ლოზუნგის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც იტალიის გაერთიანებისკენ მოწოდებას ნიშნავდა. კერძოდ, Viva Verdi იშიფრებოდა, როგორც Vittorio Emmanuele re d'Italia - გაუმარჯოს იტალიის მეფეს ვიტორიო ემანუელს. იმისთვის, რომ მთავრობას სან კარლოსში მოსალოდნელი არეულობა აეცილებინა თავიდან, იგი დათმობაზე წავიდა. მთავრობამ კომპოზიტორს ნეაპოლიდან გასვლის უფლებაც მისცა, იმ პირობით, თუ მომდევნო საოპერო სეზონში ვერდი სან კარლოსში "სიმონ ბოკანეგრას" დასადგმელად დაბრუნდებოდა. ერთი წლის შემდეგ რომში "ბალ-მასკარადის" დადგმაც მოხერხდა თეატრ Apollo-ს ინიციატივით. ამჯერად ლიბრეტოში ცვლილებები მაინც შევიდა. ცენზურის მოთხოვნით ოპერის მოქმედების ადგილი ევროპიდან ბრიტანეთის ბატონობის პერიოდის ჩრდილოეთ ამერიკაში იქნა გადატანილი, ხოლო გუსტავ III-ის ფიგურა ბოსტონის ინგლისელი გუბერნატორით - გრაფი რიჩარდ ვარვიკით შეიცვალა. ოპერის პრემიერას 1859 წლის 17 თებერვლს რომის Apollo-ს თეატრში უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. 1861 წელს ვერდიმ ოპერა პარიზისთვის გადაამუშავა, რომელიც ჯერ კიდევ ხუთმოქმედებიანი იყო. ორი ახალი რედაქციის შემდეგ კი საბოლოოდ ოთხმოქმედებიან ოპერად გადაკეთდა.



თბილისის ოპერის თეატრის განახლებული "ბალ-მასკარადის" გრაფ რიჩარდს ტენორი გია ონიანი შეასრულებს. რენატოს (ბარიტონი) პარტიას ოთხი შემსრულებელი ჰყავს, ერთმანეთს შეენაცვლებიან ბესიკ გაბიტაშვილი, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი და ნიკოლოზ ლაგვილავა. სპრანო - ამელია ჯერ ირმა ბერძენიშვილი იქნება, შემდეგ კი ამ პარტიას მიშელინა ქობალიანი შეასრულებს. რაც შეეხება მეცო-სოპრანოს, ულრიკას, მას ვარდო ცერცვაძე, ნატალია ვოლჩენკო და ლეილა გოცირიძე განასახიერებენ. სადირიჟორო პულტთან კი, როგორც აღვნიშნეთ, განახლებული სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე იდგება.

სწავლა ლონდონში
London school of Commerce (LSC)

London School of Commerce (LSC) დივიზიონი, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (STM) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება. UNIVERSITY OF SUNDERLAND (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად, ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება LIVERPOOL JOHN MOORES UNIVERSITY (LJMU) და UNIVERSITY OF EAST LONDON (UEL) უნივერსიტეტთან ერთად.

პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ - აპრილი/აგვისტო/ნოემბერი. მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2006 10 აპრილი.

MBA

- მარკეტინგი
- ფინანსები
- საერთაშორისო მენეჯმენტი

სრული კურსის ფასი
£4950
ხანგრძლივობა 1 წელი

ბიზნესისა ან ბიზნესინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA(HONS)BS, BSc BS. მთლიანი ღირებულებაა £ 5950. ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 -ის გადახდის შემდეგ. იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის
მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-5 სართული,
ოფისი 504. ბრიტანეთის სახლი
ტელ: + 995 32 42 00 50
ტელ/ფაქს: + 995 32 42 00 40 , მობ. + 995 77 42 35 69
Email: info@stmlondon.co.uk
Email: nona-STM@mail.ru

გლობალ ერთი აცხადებს ვაკანსიას პროგრამისტის თანამდებობაზე

მოთხოვნები:
ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
ორაკლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება
პროგრამირების ენა : დელფი,
წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები;
ავტობიოგრაფია (CV)
განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ანაზღაურება მაღალი - კვალიფიკაციის შესაბამისად;
საბუთების წარდგენის ბოლო ვადა - 2006 წლის 24 თებერვლის 15.00 საათი;
რუსთაველის გამზ. N31, 0 სართული; ტელ 43 91 28;
e-mail: rusiko@global-erty.net

გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი

გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge



სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

გვერდი, რომელიც შაბათს უნდა გამოსულიყო

არასდროს მეგონა, რომ...

არა, მაინც უნდა ვალიარო, რომ 23 ნოემბრის რევოლუციამ ჩემში ჩემთვისვე გასაკვირი, დაუჯერებელი მეტამორფოზა გამოიწვია. მთელი ცხოვრების განმავლობაში პრეზიდენტის არც ერთი სიტყვისთვის არ მომისმენია, არ მონდომებია, აზრადაც არ მომსვლია. გასული წლის მსგავსად, წელსაც მოვისმინე და თანაც, თავიდან ბოლომდე, ინტერესითა და ყურადღებით. მოვისმინე და, მართალია, დეპუტატებისგან განსხვავებით აზრს, შთაბეჭდილებას არავინ მეკითხება, დასკვნების, კომენტარების გაკეთებას არავინ მთხოვს, მაგრამ მე ხელთ არსებულ საშუალებას მაინც გამოვიყენებ და, ასე ვთქვათ, გავგულახდილდები. მით უმეტეს, ვინაიდან არც ერთ პოლიტიკურ მხარეს, არც სახელისუფლებო და არც ოპოზიციურ ნაწილს არ მივეკუთვნები. მათგან განსხვავებით, გულახდილობისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები მაქვს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბოლო წლებში ჩემში მეტამორფოზა მოხდა და გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის თითოეულ გამოსვლას ვისმენ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი ერთი წუთითაც არ მეპარება. მჯერა, რასაც ამბობს. არასდროს წარმომედგინა, რომ ჩემს ქვეყანას ასეთი გულწრფელი, ადამიანური განცდებითა და ემოციებით აღსავსე პრეზიდენტი ეყოლებოდა. არასდროს მეგონა, რომ მისი კმაყოფილება თუ უკმაყოფილება, სიხარული თუ გულისწყრომა, ღიმილისა თუ ხმის ტონის აწევის სურვილი, მოვლენების, მომხდარი ფაქტების შეფასება, სიამაყე და სირცხვილი, მოფერება და აგრესია ჩემს ემოციებს, შეფასებებს ასე დაემთხვეოდა. არასდროს დავიჯერებდი, რომ ჩემი ქვეყნის პირველი პირის გამოსვლა ზოგჯერ ცრემლს მომირევდა, ზოგჯერ გამაღიმებდა, ზოგჯერ ამაღელვებდა და ზოგჯერ კი დამამშვიდებდა, რაღაცას გამახსენებდა და რაღაცას დამავიწყებდა. არასდროს მეგონა, რომ პრეზიდენტის დაგვიანებისა და ლიტერატურული შეცდომების მეტს, ასეთი მონდომებული ოპოზიცია უფრო მნიშვნელოვანს, სერიოზულს ვერაფერს გააკრიტიკებდა. არასდროს მეგონა, რომ ჩემს ქვეყანას ჩვეულებრივი, ადამიანური ემოციებით და განცდებით, იუმორითა და ტკივილით, ამბიციითა და აზარტით, მიზნებითა და სურვილებით აღსავსე ადამიანი წაუძღვებოდა, რომელიც, როგორც თითოეული ჩვენგანი, რაღაცას ნანობს, რაღაცა ახსოვს, რაღაცა უყვარს, რაღაც ეზიზღება, რაღაცა ეშლება და გამოსწორებას ცდილობს, რაღაცას აღიარებს, რაღაცით ამაყობს, რაღაცას განიცდის, რაღაცის სურვილი, რწმენა, ენერგია აქვს და მომავლისკენ იყურება. არასდროს წარმომედგინა, რომ პირველ პირს ასე იოლად გავუგებდი, დავუჯერებდი. რომ მომავლის იმედი ასეთი ერთნაირი გვექნებოდა.

არასდროს მეგონა, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მიღებული ემოციების, შთაბეჭდილებების დაწერა, გაზიარება მომინდებოდა. თუმცა, სამი წლის წინ ბევრი რამ არ გვეგონა, მაგრამ...

"დროებამ" გამახარა

ტელეკომპანია "იმედის" საკვირაო გადაცემა "დროების" ერთერთი მოცულობითი, დეტალური სიუჟეტის ნახვის შემდეგ, რომ იტყვიან, გულზე მომეშვა. წლების განმავლობაში დარდის, ნერვიულობის შემდეგ, როგორც იქნა, დავმშვიდდი. ქართული პოლიტიკის ყველაზე კოლორიტულ, იუმორისტულ პერსონაჟს, შალვა ნათელაშვილს ეს რა შესანიშნავი ბინა შეუძენია! ეს რა ბუხრები, ძვირფასი ხის ფიგურული პარკეტი, მარმარილოს კიბეები, ნატურალური ტყავის ბეჟი სამეულები და შესაბამისი ფერის ნეილონის ფარდები უყიდია! ქალაქგარეთ ვილაც ჰქონია! რამდენი უძვირფასესი ვერცხლისფერი ნაძვი დაურგავს! როგორი უახლესი ტექნიკით აღჭურვილა! ეს რა მდიდრული ცხოვრება მოუწყვია! ჩვენ რას გვერჩოდა, რას გვანერვიულებდა, როდესაც რომელიღაცა არჩევნების წინა პერიოდში თავის უბადრუკ საცხოვრებელს, არქაულ მაცივარსა და "რასკლადუშკას" გვაჩვენებდა? აი, წინსვლაც ასეთი უნდა! მართლაც ძალიან გამიხარდა. აბა, სხვისი, თუნდაც ბენი ხილი-ნათელაშვილის კეთილდღეობა როგორ უნდა გეწყინოს? მაგრამ ამ ყველაფერზე უფრო მეტად ის გამიხარდა, რომ წლების განმავლობაში მეთოდურად, ოსტატურად გათამაშებული ბლეფი ნათელაშვილმა ასე ერთი ხელის მოსმით, გულწრფელად აღიარა. მართალია! სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ჩვენი მთავარი ლეიბორისტი გაჭირვებული, იდეური, პენსიონერებზე და ორსულებზე მზრუნველი რომ არ იყო, ჩვენ კი ვიცოდით, მაგრამ თვითონაც, ეტყობა, ამდენ თამაშს ვეღარ გაუძლო. ხომ იცით, მუდმივად ტყუილში ცხოვრება, იმის თამაში, რაც არ ხარ, ძალიან ძნელია. ადრე თუ გვიან ვეღარ უძლებ. შეუძლებელია მდიდარი იყო და ღარიბობას მთელი ცხოვრება იმიტირებდე. გქონდეს, ძალიან ბევრი გქონდეს და ვერ აჩენდე. ყველაფერი გინდოდეს, შეგეძლოს და ვერ ყიდულობდე. ასეთ რამეს მტერსაც არ უსურვებ. მართალია, შალვაც ცოდო იყო და მისი ოჯახიც. ნათელაშვილის პოლიტიკურ დემაგოგიას მისი სიმპათიური ბავშვები როდემდე შეეწირებოდნენ. შალვას ცოლიც ახალგაზრდა, მომხიბვლელი, ხალისიანი მანდილოსანია, რომელსაც ყველაფერი დღეს უნდა. შეუძლია, ძალუძს და გინდა თუ არა, არაფერი იყიდოო, მეგობრებთან, ნათესავებთან და მით უმეტეს ჟურნალისტებთან არ წაიტრაბახოო. უნდა გვიჭირდესო, ასეაო პოლიტიკისთვის საჭიროო. როდემდე?! გავიდა ამასობაში ცხოვრება, ბავშვები გაიზარდნენ, ცოლს ყველაფერი სასურველი, სამეულიდან დაწყებული, ლარნაკით დამთავრებული, დიდი ხანია შერჩეული ჰქონდა. ხოდა, შალვამაც მათ სევდითა და სურვილებით აღსავსე თვალებს ვეღარ გაუძლო და აღიარა. ყოჩაღ! აი, მესმის ოჯახის სიყვარული. მაგრამ, ბარემ თუ ბოლომდე გულწრფელი იქნება და ერთხელ და საბოლოოდ იმასაც ხმამაღლა აღიარებს, რომ საქართველოს გაჭირვებული მოსახლეობა, ბოდიში და, დიდი ხანია ღრმად ფეხებზე ჰკიდია და ლეიბორისტობას ბურჟუაზიულობა ურჩევნია, კიდევ უფრო მოსაწონი, ყოჩაღი იქნება.

P.S. ნათელაშვილის ცოლს ერთ პატარა, კეთილმოსურნე შენიშვნას გავუკეთებ და მივუთითებ, რომ ფანჯრებზე, როგორც წესი, ჯერ თხელი ფარდა იკიდება და მერე სქელი და არავითარ შემთხვევაში პირიქით. თორემ ასეთი ელემენტარული შეცდომის გამო ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ორი ფარდა არასდროს გკიდებიათ.

ელეგანტური ცხოვრების ახალი სტიმული



აარჩიე. ფული თქვით, თორემ!..

ძვირფასი, კომფორტული, უსაფრთხო, ულამაზესი მანქანის, მოდური სამოსის, ელეგანტური იშვიათი ბეწვის ქურქის, თვალისმომჭრელი სამკაულის ან მყუდრო, მაგრამ ამავე დროს დახვეწილობით აღსავსე ინტერიერის ქონა ყველას უნდა. ფუფუნებაში შიკით ცხოვრება ყველას უყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი შეუძლია. შიკის სრულყოფილებისთვის მხოლოდ მატერიალური შესაძლებლობა საკმარისი არ არის და ამას პლუს გემოვნება, ზომიერება, კულტურა და ხშირ შემთხვევაში პროფესიონალების დახმარება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიძლება რადიკალურად საპირისპირო, ცუდი ტონის მაჩვენებელი, ნუვორიშული შედეგი მივიღოთ. ადამიანი გემოვნებით იმ შემთხვევაში გამოირჩევა, თუ მის ჩაცმულობას, ინტერიერს ინდივიდუალიზმი მკაფიოდ ატყვია და მისი სახლი მაღაზიის ვიტრინას, თავად კი უსულო მანეკენს არ გაგონებს. ზოგიერთს სადა, ზოგიერთს კი პირიქით, თვალშისაცემი, ექსტრავაგანტული, მდიდრული სტილი ურჩევნია. ზოგიერთი ინტერიერში ანტიკვარულ ავეჯს, სპარსულ ნოხებსა და ვენეციურ შუშას ანიჭებს უპირატესობას, ზოგიერთი კი ულტრათანამედროვე გარემოში თავს უფრო მყუდროდ და, რაც მთავარია, მოხერხებულად, ბუნებრივად გრძნობს. ზოგიერთს გადატვირთული, სურათებით, ძველებური ფაიფურის ლარნაკებით, ბრინჯაოს კანდელაბრებით გადავსებულები, ზოგიერთს კი ჰაეროვანი მინიმალისტური ინტერიერი ურჩევნია. ზოგიერთს შერეული, ეკლექტიკური, ზოგიერთს კი მკაცრად ერთ სტილში გადაწყვეტილი ინტერიერი მოსწონს. რომ იტყვიან, კაცია და გუნება, მაგრამ არსებობს როგორც ძველებური, ისე ულტრათანამედროვე დიზაინერული ხელოვნების ნიმუშები, რომელთა სილამაზეში, დახვეწილობაში, განსხვავებული გემოვნების მიუხედავად, ეჭვი არავის ეპარება. საკამათო არ არის და თუ მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში მათი შეძენა არც ისე იოლია, მათი არმოწონება, დახვეწილობის, უნიკალურობის არაღიარებაც შეუძლებელია.

ამ კვირაში თბილისში, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი Show room გაიხსნა, სადაც ცნობილი იტალიელი დიზაინერების Cassina, Cappellini და Ivano Redaelli-ის სწორედ ასეთი თანამედროვე ექსკლუზიური ავეჯის ნიმუშები არის გამოფენილი, რომელთა ერთხელ მაინც ნახვას ნებისმიერი გემოვნებისა და მატერიალური მდგომარეობის ადამიანს გულწრფელად ვურჩევ. დამერწმუნეთ, სიამოვნებას მიიღებთ.

სანამ გასაყიდ-გამოფენილინიმუშების აღწერაზე გადავიდოდე, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ქართველი არქიტექტორ-დიზაინერების მიერ გაკეთებული თვითონ ამ Show room-ის ინტერიერი არანაირ იტალიას არ ჩამოუვარდება. ერთი შეხედვით თითქოსდა სრული სიმარტოვით და ამავე დროს განსაკუთრებული პროფესიონალიზმითა და გემოვნებით შესრულებული სივრცე, თანამედროვე ესთეტიკის დახვეწილობას შესვლისთანავე გაგრძნობინებს. მომგებიანად, ეფექტურად გათამაშებული ძველი ქარის აგურის კედლები, იდეალური პროპორციის თაღები, ფანჯრები, კოლონები, ზუსტად გათვლილი, დანაწილებული სივრცე, ჰაეროვნება და ნეიტრალურ ფერთა გამა სწორედ იმ ხელსაყრელ, მომგებიან ფონს ქმნის, რომელიც ულტრათანამედროვე ავეჯისთვის ასეთი ოპტიმალურია. მსოფლიოში ცნობილი იტალიელი დიზაინერების სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის სამეულები, რომლებშიც ჩაჯდომა-ჩაფლობის წამიდან არარეალური კომფორტის მსხვერპლი ხდები, დახვეწილი, სადა, ერთ ან ორ მდიდრულ ტონში გადაწყვეტილი ხალიჩები; ჩამოსაჯდომი დაბალი პუფები; საოფისე და სალონის სავარძლები; სასადილო მაგიდა და სკამები; სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფაქტურის საწოლები და მდიდრულობით, ელეგანტურობით, შიკით გამორჩეული აქსესუარები - ნატურალური ბეწვის ლოგინის გადასაფარებლები, შალის პლედები, იშვიათი ფერთა გამისა და ხარისხის თეთრეული, ავეჯზე გადასაკრავი ტყავის, ზამშის ნაირნაირი ნიმუშები და უამრავი სხვა ისეთი დეტალი, რომელიც ჩამონათვალში შეიძლება გამომრჩეს, მაგრამ ინტერიერის სრულყოფილება მათ გარეშე წარმოუდგენელია.

ახალ ინგლისურ Showw room-ში გამოფენილი ნიმუშების ფასი მათი იტალიური ღირებულების ზუსტად იდენტურია და მართალია, საქართველო ეკონომიკური მდგომარეობით ჯერ იტალიისგან შორს არის, მაგრამ ასეთი გამოფენა-მაღაზიის გახსნა უკვე იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოშიც, ჯერ შეიძლება მცირედი, მაგრამ შესაბამისი მყიდველი უკვე არსებობს. და თუ ამგვარ ექსკლუზიურ ავეჯს ჯერ ყველა ვერ იძენს, ყველა შემთხვევაში ამგვარი Shoow room გემოვნების დახვეწის, ხედვის არეალის გაფართოებისა და ლამაზად, ელეგანტურად, კომფორტულად ცხოვრების იდეალური სტიმულია. ახლა უკვე კარგად ვიცი, ფული რომ მექნება, რა სად შეიძლია ვიყიდო. ეს კი უკვე, დამერწმუნეთ, საკმაოდ წამახალისებელი წინ გადადგმული ნაბიჯია.

განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი:3001, ანგარიშის N000141408, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი - ავტოპარკი შეადგენს 636 ავტომობილს - (252 ერთეული ოპელის მარკის, 133 - მერსედესი, 57 - რენო, 53 - ბე-ემ-ვე, 16 - ვოლვო, 125 - ჯიპი).

3. მიწოდების ადგილი - შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

მიწოდების სასურველი ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 13 მარტს 1000 საათიდან 1200 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. **დამატებითი მოთხოვნები:**

ა) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

გ) ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე შესაბამისობის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი (საქართველოს სერთიფიკაციის შესაბამის ორგანოდან);

დ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ (წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ავტომობილების მწარმოებელი ფირმების მიერ გაცემული სერთიფიკატი).

8. გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

შპს "საქართველოს რკინიგზა" 20006 წლის --- თებერვლიდან აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ქ.თბილისის მთავრობის 2004 წლის 4 ოქტომბრის N07.03.87 დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილებით დამტკიცებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მე-6 პუნქტი, რომელშიც ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში, 128-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა იყო მოხსენიებული, რადგან მშენებარე ნაგებობა წარმოადგენდა 128-ე საშუალო სკოლის კუთვნილ ობიექტს, მისი შეტანა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში ეწინააღმდეგება "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, დაუშვებელია ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის სკოლის ტერიტორიის პრივატიზება.

ქ.თბილისის მთავრობის ზემოხსენებული დადგენილება, რომლითაც ბათილად გამოცხადდა ქ.თბილისის 128-ე საშუალო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე ნაგებობის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანა, შპს "კავკასიონის" მიერ სასამართლო წესით იქნა გასაჩივრებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით (N3/2563-05წ.), შპს "კავკასიონის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ქ.თბილისის მთავრობის 2004 წლის 4 ოქტომბრის N07.03.87 დადგენილება, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი და ქ.თბილისის მთავრობას, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გზით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის N01.09.09 დადგენილებით, 128-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე მშენებარე ობიექტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანის კანონიერების თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. მასში დაინტერესებული მხარეების სახით მოწვეულ იქნენ შპს "კავკასიონი" და ქ.თბილისის 128-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა.

ქ.თბილისის მთავრობამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, გამოაქვეყნა ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ, ასევე უზრუნველყო დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

საქმესთან დაკავშირებით, ქ.თბილისის 128-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლამ წარმოადგინა წერილობითი განცხადება და გარკვეული დოკუმენტაცია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია სადავო ტერიტორიაზე 1989 წლიდან დაწყებული მშენებლობის შესახებ. წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე სკოლის ხელმძღვანელობა მოითხოვს ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლის თანახმად საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნა ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში, 128-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა. მათი აზრით, აღნიშნული ობიექტის პრივატიზება ეწინააღმდეგება "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლითაც პრივატიზებას არ ექვემდებარება ყველა ტიპის მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

საქმესთან დაკავშირებით გარკვეული დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ასევე შპს "კავკასიონის" მიერ, იგი არ ეთანხმება ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილების შესაბამისი ნაწილის ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ ზემოხსენებული მშენებარე ნაგებობის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანა კანონიერად განხორციელდა.

ქ.თბილისის მთავრობა საქმესთან დაკავშირებით მოპოვებული დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-შეფასებისა და მხარეთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილებით დამტკიცებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მე-6 პუნქტი, რომელშიც მოხსენიებულია ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში, 128-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობა, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 11.06.87წ. N19.15.355 გადაწყვეტილებით შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით (დანართი N3), ქ.თბილისში გათვალისწინებული იყო რამდენიმე მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულების გაფართოება, რომელთა შორის ერთ-ერთს 128-ე საშუალო სკოლა წარმოადგენდა. იმავე ორგანოს 29.06.87წ. N941 განკარგულებით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დავალების შესასრულებლად მიღებულ იქნა სახალხო განათლების სამმართველოს წინადადება და მას ქ.თბილისის 128-ე საშუალო სკოლის შენობაზე მიშენება-დაშენების ნება დაერთო, ხოლო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს დავალა დამკვეთის როლის შესრულება და პროექტის შეთანხმება არქიტექტურულ-დაგეგმარების სამმართველოსთან.

ქ.თბილისის მთავარი არქიტექტორის 1988 წლის 18 აგვისტოს N494 ბრძანებით შეთანხმებულ იქნა ქ.თბილისში, თოფურიას ქ.N12-ში მდებარე 128-ე საშუალო სკოლის შენობაზე ერთი სართულის დაშენებისა და ახალი ხუთსართულიანი შენობის მშენებლობის პროექტი, სადაც, სხვა ობიექტებთან ერთად, უნდა განთავსებულიყო სპორტული დარბაზი, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო მშენებლობის პროცესი შეჩერდა.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ზემოხსენებული სამართლებრივი აქტების, საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისა და წერილობითი მასალების გაანალიზების შედეგად, ქ.თბილისის მთავრობა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილებით დამტკიცებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მე-6 პუნქტში მოხსენიებული "დაუმთავრებელი მშენებლობა" წარმოადგენს სწორედ იმ ობიექტს, რომლის აშენებაც 128-ე საშუალო სკოლის გაფართოების მიზნით იყო დაგეგმილი. სახელდობრ, საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1963 წლის 29 მაისის N168 ($18) გადაწყვეტილება, ამ უკანასკნელის საფუძველზე შედგენილი გეგმა-ნახაზი, 128-ე საშუალო სკოლის და სპორტდარბაზის შემაერთებელი დერეფნისა და ჰოლის რეკონსტრუქციის პროექტი, შემუშავებული თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტის" მიერ შედგენილი გენ-გეგმა, შენობის ტექნიკური პირობებისა და დახასიათების მონაცემები (25.06.1988წ.), თბილისის გეოდეზიის ბიუროს მიერ შედგენილი ნახაზი (15.IX.1987წ.), აგრეთვე სხვადასხვა უწყებების წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებული სამშენებლო ობიექტი 128-ე საშუალო სკოლის შენობის შემადგენელ ნაწილად უნდა ქცეულიყო და მისი განთავსების ადგილად განსაზღვრული იყო ნუცუბიძისა და თოფურიას ქუჩებს შორის არსებული სწორედ ის ტერიტორია, სადაც 128-ე საშუალო სკოლა მდებარეობს. ასეთ ვითარებაში კი ზემოხსენებული ობიექტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანა ეწინააღმდეგება "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმად, პრივატიზებას არ ექვემდებარება ყველა ტიპის მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს.

ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში, 128-ე საშუალო სკოლის მფლობელობაში არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის პრივატიზების უკანონობა დადასტურებულია ასევე ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (N1/186-05წ.), რომლითაც ზემოხსენებული ნაგებობის პრივატიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებისათვის, ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის იმჟამინდელი პირველი მოადგილე ვ. ჩხეიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისათვის - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღნიშნულმა თანამდებობის პირმა საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის რაიმე უპირატესობის ან გამორჩენის მიღების მიზნით, ქ.თბილისის N128 საშუალო სკოლის ტერიტორია, როგორც "მშენებარე ობიექტი", შეიტანა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, რითაც დაირღვა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის "ე" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

ქ.თბილისის მთავრობა აღნიშნავს, რომ სადავო ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორებიცაა სპორტული დარბაზი და მოედანი. ასეთი ობიექტების უქონლობა კი სკოლის მხრიდან შეუძლებელს გახდის ზოგადი განათლების მიზნების სრულყოფილად განხორციელებასა და აკრედიტაციის გავლას, რითაც შეილახება მოსწავლეთა და პედაგოგთა კანონიერი ინტერესები. სახელდობრ, "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განათლების სფეროში დასახული სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საათები საგნების მიხედვით, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს: ქართული (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზური და ქართული) ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, უცხო ენები, ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.

როგორც ირკვევა, ფიზიკური აღზრდა ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომლის შესრულება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სავალდებულოა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ფიზიკური აღზრდა კი ისეთი ობიექტების უქონლობის შემთხვევაში, როგორებიცაა სპორტული დარბაზი და მოედანი, ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რაც "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სკოლისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლის წარმოშობას განაპირობებს.

ქ.თბილისის მთავრობა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილება მიღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რითაც დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. კერძოდ, ქ.თბილისის მთავრობის მიერ არ იქნა დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც შეტანილ იქნა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, წარმოადგენდა 128-ე საშუალო სკოლის გაფართოების მიზნით ასაშენებელ ნაგებობას, რომელშიც, სხვა ობიექტებთან ერთად, სპორტული დარბაზი უნდა განთავსებულიყო.

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ვინაიდან ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილებით ზემოხსენებული ობიექტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანა, თავისი სამართლებრივი ბუნებით, სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, იგი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით უნდა მიღებულიყო, თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით შეიზღუდა ქ.თბილისის 128-ე საშუალო სკოლის კანონიერი ინტერესი და გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა, იმავე კოდექსის მე-13 და 95-ე მუხლების თანახმად, იგი მოწვეულ უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით, რაც არ იქნა უზრუნველყოფილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მთავრობა ადატურებს, რომ 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება თოფურიას ქ. N12-ში, 128-ე სკოლის მიმდებარედ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანას, წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, იგი გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით. კერძოდ, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების დაუცველად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა-შეფასების გარეშე, რაც მისი ბათილად ცნობის უპირობო საფუძველს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქ.თბილისის 128-ე საშუალო სკოლას, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას, კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ ესაჭიროება ზემოხსენებული ობიექტი სპორტული დარბაზისა და მოედნის მოწყობის მიზნით, რათა მან შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის მთავრობა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა წინამდებარე დადგენილების გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-53-ე, მე-601, 62-ე, 115-ე, 120-ე და 121-ე, 180-ე მუხლებისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

ქ.თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი "ქ.თბილისის მუნიციპალური საკუთრების 2001 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მთავრობის 2001 წლის 13 დეკემბრის N20.10.430 დადგენილებით დამტკიცებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის მე-6 პუნქტი, მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები ქ.თბილისში, თოფურიას ქ. N12-ში მდებარე პრივატიზებული ობიექტის ადგილობრივ საკუთრებაში და ქ.თბილისის 128-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მფლობელობაში დაბრუნების მიზნით.

3. გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, დადგენილება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს და გაეგზავნოთ (გადაეცეთ) დაინტერესებულ მხარეებს.

5. წინამდებარე დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს ქ.თბილისის პრემიერის პირველ მოადგილეს გ. მელაძეს

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N1ა), კანონით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან.

ქ.თბილისის პრემიერი თემურ ქურხული

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ქერჩის, თიანეთის გზატკეცილის, ვეკუას, მოსულიშვილის, სამამულო ომის გმირების, შენგელაიას, ტიულენინის, დოლიძის, ჩიქოვანის, ბალანჩივაძის, იოსელიანის, ჩაილურის, ტეხურის, ჭიათურის, ნასიძის, პანკისის, ლიხაურის ჩიხის, ბაკურიანის, ქარელის ქუჩებზე, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე - ორთაჭალის ჰესიდან ჩოლოყაშვილის ქუჩამდე ხეების გასხვლა-ფორმირებისა და მოჭრისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 19 ლოტად (პოზიციად):

1.ლოტი - ქერჩის ქუჩაზე, თიანეთის გზატკეცილზე - 96 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

2.ლოტი - ვეკუას ქუჩაზე - 24 ძირი II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

3.ლოტი - მოსულიშვილის ქუჩაზე - 97 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

4.ლოტი - სამამულო ომის გმირების ქუჩაზე - 88 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

5.ლოტი - შენგელაიას ქუჩაზე - 27 ძირი II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

6.ლოტი - ტიულენინის ქუჩაზე - 83 ძირი II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

7.ლოტი - დოლიძის ქუჩაზე - 74 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

8.ლოტი - ჩიქოვანის ქუჩაზე - 17 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

9.ლოტი - ბალანჩივაძის ქუჩაზე - 35 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

10ლოტი - იოსელიანის ქუჩაზე - 7 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

11.ლოტი - ჩაილურის ქუჩაზე - 3 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

12.ლოტი - ტეხურის ქუჩაზე - 2 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

13.ლოტი - ჭიათურის ქუჩაზე - 2 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

14 ლოტი - ნასიძის ქუჩაზე - 34 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

15.ლოტი - პანკისის ქუჩაზე - 7 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

16.ლოტი - ლიხაურის ჩიხი -7 ძირი II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება;

17.ლოტი - ბაკურიანის ქუჩაზე - 5 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა;

18. ლოტი - ქარელის ქუჩაზე - 8 ძირი I და II კატეგორიის ხეების გასხვლა-ფორმირება.

19.ლოტი - მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე - ორთაჭალის ჰესიდან ჩოლოყაშვილის ქუჩამდე - 90 ძირი I კატეგორიის ხეების გასხვლა-გადაბელვა, მოჭრა;

20.ლოტი - გრიბოედოვის, ცისარტყელას, პეტრიაშვილის, ლაღიძის ქუჩებზე, აღმაშენებლის გამზირზე -16 ძირი I კატეგორიის ხეების მოჭრა;

21.ლოტი - რობაქიძის ქუჩაზე -3 ძირი II კატეგორიის ხეების გასხვლა;

22.ლოტი - მოსაშვილის ქუჩაზე - 2 ძირი II კატეგორიის ხეების გადაბელვა;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ხეების გასხვლა-ფორმირება, მოჭრა და ნარჩენების გატანა.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 30 აპრილი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 13 მარტის 12 საათიდან 13 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 10 მარტის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში რეაბილიტირებული გზების საგზაო სამოსის მშენებლობის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 მარტის 12 საათიდან 2006 წლის 14 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 20 თებერვლის 12 საათიდან 2006 წლის 13 მარტის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტარიელ ხიზანეიშვილი საკონტაქტო ტელეფონი 92-07-80, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

ქალაქ თბილისის მერის

ბრძანება N13
17 თებერვალი 2006 წ.

"ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2005 წლის 3 მაისის N20 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლების შესაბამისად
ვბრძანებ:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის დებულების დამტკიცების შესახებ".

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2005 წლის 3 მაისის N20 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 ("ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის, სტრუქტურა და საშტატო ერთეულების ნუსხა).

3. "ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მერის 2005 წლის 3 მაისის N20 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" და "ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) ხელმძღვანელობს სამსახურს, იგი უშუალოდ, მოადგილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) მეშვეობით წყვეტს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

ვ) განსაზღვრავს მისი მოადგილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) ხელმძღვანელთა ფუნქციებსა და კომპეტენციას სამსახურის საქმიანობის მიმართულებათა მართვისას."

ბ) მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

2. უფროსის არ ყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე. ასეთ შემთხვევაში, მოვალეობის შემსრულებელი სამსახურის უფროსის მოადგილე დამოუკიდებლად წყვეტს მისი ფუნქციური მოვალეობით განსაზღვრულ საკითხებს, ხელმძღვანელის დავალებით ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებებს, უფროსის დავალებით ახორციელებს სამსახურის მოსამსახურეთა სამსახურებრივ ზედამხედველობას".

4. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:
"სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება: საერთო, სამოქალაქო ინიციატივებისა და კოორდინაციისა და აღრიცხვიანობის განყოფილებებით."

5. მე-3 თავის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ო" ქვეპუნქტი:
"დებს ხელშეკრულებებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან".

6. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს პირადი ჰიგიენის საგნების **შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

შესყიდვის ობიექტი- პირადი ჰიგიენის საგნები
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 მარტის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 21 მარტიდან 24 მარტის 14:30 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 24 მარტის 14:30 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	განზომილების ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 15 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი
ლოტი N1	ხელის საპონი	კგ	2,000	2006 წლის 4 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე	უფლისციხე
ლოტი N2	საოჯახო საპონი	კგ	7000		
ლოტი N3	საპარსი მოწყობილობა ერთჯერადი	ც	720000		

სატენდერო კომისია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხვა სახის ფეხსაცმელის **შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

შესყიდვის ობიექტი- სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 მარტის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 21 მარტიდან 24 მარტის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 24 მარტის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, ხვამლის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

ლოტი N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
ლოტი N1	ფეხსაცმელი მ/ყ	წყ	7700	04.04.06-31.12.06 შემსყიდველის მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში	უფლისციხე
ლოტი N2	სპორტული ფეხსაცმელი	წყ	2000		

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, email:info@tbilmetro.com.ge) აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"-სათვის საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.
3. შესყიდვის ობიექტი: რელსი რ-50 ტიპის შეძენა.
შეყიდვა განხორციელდება ერთ ლოტად.
1 ლოტი ითვალისწინებს:
220 (ორას ოცი) ტონა რ-50 ტიპის რელსის (პირველი ხარისხის, ნახვრეტების გარეშე, 1 ცალი 25 მეტრის) შეძენას.

4. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ა N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 თებერვლიდან 2006 წლის 16 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".
5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:
იურიდიული პირებისათვის;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%.
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგანტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია უკანასკნელი 3-წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურეობის შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა რომ უკანასკნელი 5-წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასტან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (შსს ინფორმატიზაციის სამართველოდან).

7. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით და განაცხადი სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 17 მარტის 12 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.
9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
10. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 მარტის 12:00 სთ -ზე.
11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი წინადადება.
12. დაგვიანებულ შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
13. ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სატენდერო აპარატის მდივნისაგან, საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, 35-60-26, შიდა ტელეფონი: 95-74, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, email:info@tbilmetro.com.ge) აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი'-ს სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს
2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.
3. შესყიდვის ობიექტი: მშენერბარე-დაუმთავრებელი ობიექტებზე (ნაგებობებზე) მომსახურეობა.
შეყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად.

- "მეტროპოლიტენის მშენებარე საბურთალოს ხაზისთვის ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოები".
- "N 20 სპეც ობიექტზე ჩასატარებელი Mსამშენებლო სამუშაოები".

4. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ა N173407 გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალი N3/4, კოდი 220101665, საიდენტიფიკაციო კოდი 202886788) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 21 თებერვლის 10:00 სთ-მდე 2006 წლის 15 მარტის 16:სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი N2 შპს "თბილისის მეტროპოლიტენი".
5. სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:
იურიდიული პირებისათვის;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები ფაქსი.);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგანტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია უკანასკნელი 3-წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სახის სამშენებლო სამუსაოების შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- ცნობა რომ უკანასკნელი 5-წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (შსს ინფორმატიზაციის სამართველოდან).

7. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
8. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით და განაცხადი სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 12 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, თბილისის მეტროპოლიტენი, სატენდერო კომისიის აპარატი.
9. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
10. პრეტენდეტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემო აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 12:00 სთ -ზე.
11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს სატენდერო წინადადება ერთი ან რამოდენიმე ლოტზე.
12. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
13. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ოდენობით: ხელშეკრულების ღირებულების 5%.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სატენდერო აპარატის მდივნისაგან, საკონტაქტო ტელეფონი: 877-52-54-34, 35-60-26, შიდა ტელეფონი: 95-74, მისამართზე ვაგზლის მოედანი N2, II სართული, თბილისის მეტროპოლიტენი.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" (ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, email:info@tbilmetro.com.ge) აცხადებს ღია ტენდერს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი"-სათვის საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.
3. შესყიდვის ობიექტი: რეზინის ნაწარმი
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 5 ლოტად:
- "რეზინის პნევმატიკური ნაწარმი".
- "რეზინა-მეტალური ნაწარმი".
- "ესკალატორის სახელური"
- "რეზინის ღვედები".
- "რეზინის დიელექტრიკული საშუალებები".

შენიშვნა: დაწვრილებითი ინფორმაცია ლოტების შესახებ შეიძლება მიიღოთ სატენდერო აპარატში.

